

რა დარჩა დასავლეთისგან? – Quo Vadis NATO?

ჰელმუტ ვ. განსერი / ვულფ ლაპინსი / დეტლეფ ფული
ივნისი 2018

- ნატო სერიოზული კრიზისის წინაშე დგას. მისი მნიშვნელობა და მიზანი საკამათო გახდა – ის აღმოსავლეთში ტერიტორიების დაცვას უნდა დაუბრუნდეს თუ სამხრეთში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე უნდა იყოს ორიენტირებული? მისი ლიდერები ჭოჭმანობენ – რა უნდა ამერიკის შეერთებულ შტატებს დონალდ ტრამპის მეთაურობით? რა უნდათ „ევროპელებს“? ისინი, ორივენი, კვლავ ერთი ამოცანისთვის იბრძვიან? რა დარჩა დასავლეთის ალიანსისგან, რომელსაც თავი დემოკრატიული ღირებულებების თანამეგობრობად მიაჩნია?
- 2010 წლის სტრატეგიული კონცეფციის მიღების შემდეგ ნატოს უსაფრთხოების გარემოში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები, აგრეთვე ეროვნულ კონცეფციებში ალიანსისადმი სამომავლო ნდობასთან დაკავშირებით არსებული განსხვავებები უდავოდ მოითხოვს განმარტებას. ნატოს სჭირდება ახალი სტრატეგიული კონცეფცია, მათ შორის, ხელახალი გააქტიურება დებატებისა ბირთვული იარაღის როლის, საერთაშორისო ტერორიზმთან ეფექტიანი ბრძოლის და სამხედრო დოქტრინაში ტექნოლოგიური პროგრესის სწორი გზით წარმართვის შესახებ.
- ალიანსის მომავალთან დაკავშირებით კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იქნება, ისურვებენ თუ არა ევროპელები, შეასრულონ დამოუკიდებელი როლი, და თუ ისურვებენ, რომელ სისტემაში გადანაცვდნენ ისინი ამის გაკეთებას. ამავდროულად, ევროპელები უნდა მომავალში თუ რა როლის მიკუთვნება სურთ მათ შეერთებული შტატებისთვის ევროპაში.

სარჩევი

1. ახალი სტრატეგიული კონცეფცია	3
2. უსაფრთხოების გამოწვევები – რუსეთი და ნატოს სამხრეთი პერიფერია	4
ჰეგემონური კონფლიქტი და ძალაუფლებათა ჭიდილი	4
საფრთხის აღქმა	5
დავა ალიანსის შიგნით – უსაფრთხოება რუსეთის წინააღმდეგ თუ რუსეთთან ერთად	7
ნატოს სარისკო, სამხრეთი სამეზობლო	8
3. ნატოს როლი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში	9
მაგრამ ალიანსს მხოლოდ მოუწოდებენ	10
ნაბიჯ-ნაბიჯ საბრძოლო ოპერაციებისკენ?	11
დეფიციტი და პოსტულატები	12
4. ნატოს ოპერაციები	13
5. უელსში ნატოში პასუხისმგებლობის გადანაწილებასა და მთლიანი შიდა ... პროდუქტის (მშპ) ორპროცენტთან განაკვეთზე შეთანხმდნენ	15
6. ბირთვული იარაღის შეკავება	17
ნატოს „ბირთვული ალიანსის“ რაციონალური პოლიტიკურ-სტრატეგიული საფუძველი	17
ბირთვული შეკავების საიმედოობა	18
ახალი დებატები ნატოში ბირთვული იარაღის შესახებ	19
საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შესახებ ხელშეკრულების შესაძლო დარღვევა არ ცვლის სტრატეგიულ ბირთვულ თანასწორობას ევროპაში და ევროპისთვის	20
7. ახალი ტექნოლოგიებისგან წარმოშობილი გამოწვევები	21
8. ევროპის როლი	23
9. დასკვნა	26

1. ახალი სტრატეგიული კონცეფცია

სტრატეგიული კონცეფცია აღწერს მიზნებს, ამოცანებსა და გზებს და ამის საფუძველზე ახდენს ყოველივე ამის მისაღწევად საჭირო საშუალებებისა და რესურსების გაანალიზებას. ალიანსის სტრატეგიული კონცეფციები საგრძობლად განსხვავდება ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებისგან. მოგვწონს ეს თუ არა, ალიანსის კონცეფციებმა ალიანსის პარტნიორთა განსხვავებული ეროვნული ინტერესები უნდა გაითვალისწინოს. ეს დილემა არის მუდმივი სტრუქტურული პრობლემა.

ნატო იძულებულია თავის ძირითად დოკუმენტებში განუწყვეტილად შექმნას კომპრომისები, რადგან, მიუხედავად ყველა დეკლარაციისა, რომლებიც ღირებულებათა ერთიანობას ამტკიცებს, კვლავ დომინირებს განსხვავებული პოზიციები, რომელთა შეთანხმება კვლავ და კვლავ დგება დღის წესრიგში. დოკუმენტებში, რომლებსაც ალიანსი ეფუძნება, ნატოს პერიოდულად უხდებოდა ეკვილიბრისტის თოკზე გაეწვო, რათა როგორც გადაეღებოდა ეს სხვაობა „კონსტრუქციული ორაზროვნების“ მეშვეობით. ეს ეხება დიპლომატიურ ენას, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა პოზიციის დასაზუსტებლად აბსტრაქტულად ფორმულირებული ტექსტების მეშვეობით. შესაბამისად, კრიტიკული პასაჟები საკმაოდ ბუნდოვანი გამოთქმებით არის ფორმულირებული, იმგვარად, რომ ალიანსის ყველა პარტნიორმა შეძლოს შესაბამისი ტექსტის თავისი შეხედულებისამებრ ინტერპრეტაცია. ამ პრაქტიკის ერთ-ერთი მიმდინარე მაგალითია ფორმულირება, რომელიც ფართო განხილვის საგანი გახდა, კერძოდ, ნატოს 2014 წლის უელსის სამიტის დეკლარაციის ფორმულირება სახელმძღვანელო მითითების შესაბამისად, რომ ეროვნული თავდაცვის ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) ორ პროცენტს უნდა შეადგენდეს.

გარდა ამისა, საკუთარი სტრატეგიული კონცეფციების ფორმულირებისას ნატო ხშირად ცდილობდა *ex post facto* გარდატეხა მოეხდინა თავის ადრინდელ

სპეციალურ გადანყვეტილებებში. პრაქტიკამ განსაზღვრა. კონცეპტუალიზაციის ფორმა. ასე, მაგალითად, 1999 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში ნატოს ახალი პრაქტიკა სამხედრო „მე-5 არამუხლობრივი“ მისიების (მისიების, რომლებიც არ ეფუძნება ნატოს ხელშეკრულების მე-5 მუხლს) შესახებ, რომელიც 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო, შემდგომში ალიანსის ერთ-ერთ ძირითად მიზნად (კრიზისების მართვა) გამოცხადდა. 2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია კვლავ გამოიყენება თანამედროვე რუკების შემუშავებისთვის, რომელიც 2008 წლის ვითარებას ასახავს. რუსეთთან, როგორც ნატოს პარტნიორთან, ურთიერთობები გაცივდა ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე პრეზიდენტ პუტინთან წინააღმდეგობრივი შეხვედრისა და 2008 წელსვე საქართველოში ომის შედეგად. ამრიგად, სტრატეგიული კონცეფციები უფრო წარსულის ტყვეობაშია.

ნატოს გაფართოების და ნატოსთან დაკავშირებით ტრამპის ადმინისტრაციის შემამოფოთებლად ბუნდოვანი პოზიციის კონტექსტში, ამ ეკვილიბრისტის თოკზე გავლამ, რომელიც ალიანსის პარტნიორთა პოზიციების დაბალანსების მცდელობა იყო, ნაპრალი კიდევ უფრო გააღრმავა. ალიანსში ცენტრიდანული ძალების გაძლიერებით გამოწვეულმა შეშფოთებამ – ისევე, როგორც წარსულში – შექმნა სიტუაცია, როდესაც პოლიტიკოსი ან ექსპერტების გარკვეული ნაწილი, ნატოს სტრატეგიული კონცეფციის გადახედვის წინააღმდეგა და ამ პროცესის გადადება სურთ, რათა პანდორას ყუთს, გახსნის საშუალება არ მისცენ. თუმცა, ამ კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური არგუმენტის სახელმძღვანელო პრინციპად გარდაქმნა არასწორი იქნებოდა.

ნატოს გაფართოების და ნატოსთან დაკავშირებით ტრამპის ადმინისტრაციის შემამოფოთებლად ბუნდოვანი პოზიციის კონტექსტში, ამ ეკვილიბრისტის თოკზე გავლამ, რომელიც ალიანსის პარტნიორთა პოზიციების დაბალანსების მცდელობა იყო, ნაპრალი კიდევ უფრო გააღრმავა. ალიანსში ცენტრიდანული ძალების გაძლიერებით

გამონვეულმა შეშფოთებამ – ისევე, როგორც წარსულში – შექმნა სიტუაცია, როდესაც პოლიტიკოსი ან ექსპერტების გარკვეული ნაწილი, ნატოს სტრატეგიული კონცეფციის გადახედვის წინააღმდეგია და ამ პროცესის გადადება სურთ, რათა პანდორას ყუთს, გახსნის საშუალება არ მისცენ. თუმცა, ამ კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური არგუმენტის სახელმძღვანელო პრინციპად გარდაქმნა არასწორი იქნებოდა.

ნატო დაბალანსებულად მოქმედებს, მისი ახალი აღმოსავლეთევეროპელი წევრების და უფრო ძველი, ხელმთაშუა ზღვის მოსაზღვრე წევრი სახელმწიფოების ინტერესებსა და მათ მიერ აღქმულ საფრთხეებთან მიმართებაში. ახალი წევრები საფრთხეს ძირითადად რუსეთს უკავშირებენ, ხოლო შედარებით ძველ წევრებს აშფოთებთ უფრო სამხრეთის ფლანგთან დაკავშირებული საფრთხე, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან მომდინარეობს. ერთიანობის დაკარგვის შიშით ნატო დღემდე ცდილობდა ეს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები „360-გრადუსიანი სტრატეგიის“ მეშვეობით მოერიგებინა, ანუ, განეხორციელებინა თავდაცვა ყველა მიმართულებით, თუმცა აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთზე ფოკუსირებით. ეს საკმარისი არ არის. ალიანსის სამომავლო სტრატეგიებისთვის საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს 2020-იანი წლების სტრატეგიულ გარემოს. საშუალო- და გრძელვადიან პერსპექტივაში, ალბათ კვლავ გაიზრდება საერთაშორისო ტერორიზმსა და მასობრივ მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც სამხრეთ ევროპაში არსებული გარემოდან მომდინარეობს და საგულისხმო რესურსების უზრუნველყოფას მოითხოვს. ეს ნატოს პრობლემას შეუქმნის, რადგან მას არ ექნება საშუალება, მნიშვნელოვანი ძალები ერთდროულად განა-ლაგოს როგორც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ისე ნატოს სამხრეთ პერიფერიაზე.

2. უსაფრთხოების გამოწვევები – რუსეთი და ნატოს სამხრეთი პერიფერია

თუ ნატოს წევრ ქვეყნებსა და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტის დინამიკას რეალისტურად შევხედავთ, 1990 წლის ნოემბრის „პარიზის ქარტია“ „დემოკრატიის, მშვიდობისა და ერთიანობის ახალი ეპოქის შესახებ“ მოძველებულ მექანიზმად მოჩანს. ნებისმიერი, ვინც, მიუხედავად ამისა, ახალი ურთიერთობების წინაპირობად მისი პრინციპების დაცვას მოითხოვს, უახლოეს მომავალში წარუმატებლობისთვის არის განწირული, რადგან ნაპრალი ინტენსიური და მასშტაბურია და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით კიდევ უფრო ღრმავდება. ფაქტი სახეზეა, რომ წარსულის ხელშეკრულებებმა და შეთანხმებებმა დაკარგეს ბერკეტები. ამიტომაც NATO-რუსეთის ურთიერთობას ახალი საფუძველი ჭირდება. ამკარაა, რომ მცდელობა უნდა დაიწყოს მრავალი საწყისი პატარა ნაბიჯით, რათა კვლავ მოხდეს შეთანხმება უსაფრთხოების პრინციპებზე, როგორცაა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, ურთიერთნდობა და სამშვიდობო ღონისძიებები, მთლიანობაში ევროპის მხრიდან ერთობლივი პასუხისმგებლობა და განიარაღება.

ჰეგემონური კონფლიქტი და ძალაუფლებათა ჭიდილი

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის და აღმოსავლეთ უკრაინის ეგრეთ წოდებული დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რეს-პუბლიკებში პრორუსული შეიარაღებული ფორმირებებისთვის სამხედრო მხარდაჭერის გამოცხადების, აგრეთვე სირიის სამოქალაქო ომში ასადის რეჟიმისთვის დახმარების განევის მიზნით რუსეთის პირდაპირი სამხედრო ჩარევის შემდეგ ნატო და რუსეთი მუდმივად დაპირისპირებული არიან. ამავდროულად, კონფლიქტის ძირითადი მიზეზი არ არის ამკარა გაუგებრობა, რომელიც შეიძლება მხარეთა მიერ მოვლენების არასწორი განმარტებიდან მომდინარეობდეს. ამ ანტაგონიზმის მიზე-ზები მეტი დიალოგით, ინფორმაციითა

და თანაგრძნობით ვერ აღმოიფხვრება. პირიქით, ყოველივე ამას საფუძვლად უდევს ფუნდამენტური ნორმატიული ჰეგემონური კონფლიქტი და ძალაუფლებათა ჭიდილი ევროპულ სამშვიდობო სისტემაში რუსეთის მნიშვნელობასა და როლთან დაკავშირებით, რასაც რუსეთი უკვე აღარ აღიარებს, რადგან თავი გადანყვეტილებების მიღების პროცესიდან გარიყულად მიაჩნია. ამავდროულად, კონფლიქტი დაკავშირებულია ძალაუფლებისა და გავლენისთვის მის ბრძოლასთან, მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე. საერთო ღირებულებები, რომლებიც პარიზის ქარტიით არის განმტკიცებული, როგორცაა საზოგადოებათა ღიაობა, დემოკრატიული მშვიდობა, პოლიტიკური პლურალიზმი, მრავალმხრივობა და კანონის უზენაესობა, დღესათვის რუსეთში ოფიციალურად უარყოფილია ან უფრო დაბალი სტატუსი აქვს, ვიდრე დასავლეთის პოლიტიკაში. ნაცვლად ამისა, ღვივდება ნაციონალისტური მიმართულების პატრიოტიზმი, „მართული“ დემოკრატია, ძალაუფლების ვერტიკალი და პოლიტიკური სამართალი. გარდა ამისა, მიმდინარეობს დეზინფორმაციის კამპანია, რომელსაც ეწევიან სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული სატყუარა საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც კრემლი საზოგადოებრივი აზრის გაკონტროლებას ცდილობს. ამას ადრე პროპაგანდას ეძახდნენ, დღეს კინატო „ჰიბრიდულ მოს“ უწოდებს.¹ თუმცა დასავლეთის მოწოდება ურთიერთსამსახურის განვეისკენ („quid pro quo“ – ხელი ხელს ბანს) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სამართლიანად უკუაგდეს. ნაცვლად ამისა, 2015 წელს ევროკავშირმა შექმნა აღმოსავლეთის სტრატეგიული კომუნიკაციის სამუშაო ჯგუფი, როგორც ქსელი, რომელიც მეთოდურად და პროფესიულად აგროვებს რუსულ ყალბ ახალ ამბებს და ასწორებს მათ. გარდა ამისა, 2015 წელს ნატოს წევრ სახელმწიფოთა ჯგუფმა რიგაში შექმნა სტრატეგიული კომუნიკაციის საუკეთესო გამოცდილების ცენტრი, რომელიც ამ ამოცანის გადანყვეტაზე მუშაობს. ესტონეთის დედაქალაქში, ტალინში, კი ჯერ

კიდევ 2010 წელს, ნატოს მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა კიბერთავდაცვის ცენტრი შექმნეს, სადაც საუკეთესო გამოცდილების გაზიარება შეუძლიათ მხარეებს.

საფრთხის აღქმა

პოლიტიკოსთა უმრავლესობას და სამოქალაქო საზოგადოებას, განსაკუთრებით ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთში, რუსეთის სამხედრო ძალებთან დაკავშირებით შეთანხმებული მიდგომა აქვთ. მაშინ, როდესაც დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ავღანეთსა და ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ოპერაციებზე იყვნენ კონცენტრირებული, რუსეთი ახორციელებდა თავისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის ამბიციურ პროგრამას – ფართომასშტაბურსა და თითქმის შეუმჩნეველს. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ 2016 წლის 7 იანვარს გამოქვეყნებული საბოლოო ანგარიშის შესაბამისად, რუსეთის შეიარაღებული ძალების 47 პროცენტი შეიარაღების ყველაზე თანამედროვე სისტემებით აღჭურვა. 2020 წლისთვის ამ მაჩვენებლის 70 პროცენტამდე გაზრდა დაგეგმილი. წვრთნების „ზაპად 2017“ დროს, რომლებიც 2017 წლის სექტემბერში რუსეთის გენერალურმა შტაბმა ბელარუსში ჩაატარა, ოპერაციები პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საზღვრების გასწვრივ იქნა ორგანიზებული. ყურადღება სტრატეგიულ მობილურობაზე, ფუნქციურ თავსებადობაზე, საჰაერო თავდაცვასა და A2/AD-ზე (anti-access / area denial) მახვილდებოდა. ძირითადი ამოცანა იყო წვრთნის ჩატარება ესკალაციის კონტროლის სფეროში, ანუ, პერიფერიაზე კონფლიქტის აღკვეთა გლობალური ომის ესკალაციის პრევენციის მიზნით. რუსეთის არმიამ დაადასტურა, რომ იგი არის თანამედროვე, მოქნილი საბრძოლო ძალა, რომელსაც შეუძლია ოპერაციები უდიდესი საბრძოლო არსენალით აწარმოოს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ტალინში, რიგასა და ვილნიუსში ჩატარებული საფრთხის ანალიზი, ძირითადად რუსეთის მხრიდან პოტენციური ინტერვენციის

¹ ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ძირითადი მოხსენება ნატოს ტრანსფორმაციის სემინარის გახსნაზე, https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_118435.htm (ხელმისაწვდომი იყო 2018 წლის 11 იანვარს).

სცენარებს მოიცავს. ამ სცენარებში, ყირიმის სცენარის მსგავსად, მიუთითებენ „პატარა მწვანე ადამიანებზე“, რომლებიც თითქოსდა მოსახლეობის რუსულენოვანი ნაწილის დაცვის მიზნით შედიან ქვეყანაში. ყველაზე მეტი რუსულენოვანი მცხოვრები ლატვიასა და ესტონეთშია. შემაშფოთებელია ის, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბული ურთიერთობის პირობებში რუსეთს შეუძლია ისინი რუსეთის მოქალაქეებად გამოაცხადოს. ასეთ შემთხვევაში რუსეთს აშკარად ექნება მათი მხარდაჭერისა და დახმარების უფლება, 2014 წლის დეკემბრის სამხედრო დოქტრინის შესაბამისად. დაცვის ეს ვალდებულება უკვე იყო ჩართული წინა სამხედრო დოქტრინის ტექსტში, რომელიც 2010 წლის 5 თებერვალს იქნა მიღებული. გარდა ამისა, ბალტიისპირელი მოკავშირეები გვაფრთხილებენ, რომ რუსეთის ფართომასშტაბური წვრთნების „ზაპად 2013“ დროს დამუშავებული ტაქტიკა და ოპერაციები ერთი წლის შემდეგ ყირიმის ანექსიისთვის იქნა გამოყენებული. თუმცა, ამ წვრთნებსა და ყირიმის აღების შესახებ კრემლის გადაწყვეტილებას შორის პირდაპირი კავშირის მაჩვენებელი რაიმე მტკიცებულება არ არსებობს. გარდა ამისა, უკრაინისგან განსხვავებით, ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი ნატოს ტერიტორიებია. თითოეულ ზემოხსენებულ ქვეყანაში, ალიანსმა შეკავებისა და თავდაცვის მიზნით, როტაციის საფუძველზე მრავალეროვნული საბრძოლო ჯგუფი განალაგა. ისინი 2017 წლიდან მოქმედებენ და თითოეულ ჯგუფში დაახლოებით ათასი ჯარისკაცია. ლიტვაში განლაგებულ საბრძოლო ჯგუფს გერმანიის შეიარაღებული ძალები ხელმძღვანელობენ. ლიტვის მთავრობას განსაკუთრებით აშფოთებს რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები ბალტიისპირეთის ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების წარმოების კუთხით, კერძოდ, შესაძლო საბრძოლო ოპერაციების წარმოება მხოლოდ 24-დან 48 საათამდე წინასწარი გაფრთხილებით, ასევე, ისინი შეშფოთებული არიან რუსეთის შესაძლებლობით გამოიყენონს მოგერიების სისტემა A2 / AD (რითაც ალიანსის თავდაცვის ძალების მოგერიება შეუძლია) ეგრეთ წოდებულ სუვალკის დერეფანში. ამასთანავე, 2014 წლის 21 მარტს, ყირიმის უკანონო ანექსიამდეც კი რუსეთმა თავისი შავი ზღვის

ფლოტისთვის უზარმაზარი, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა შეინარჩუნა სევასტოპოლში, ანუ, უკრაინის ტერიტორიაზე.

მეორე მხრივ, რუსულ მედიაში ყურადღებას იმ საფრთხეებზე ამახვილებდნენ, რომლებიც გამოიწვია ამერიკელი მფრინავების მიერ ჩატარებულმა ფართომასშტაბურმა წვრთნებმა, კერძოდ, საზაფხულო წვრთნებმა „Saber Strike“ – ბალტიისპირეთსა და პოლონეთში და წვრთნებმა „Saber Guardian“ – შავი ზღვის ეკვატორიასა და უნგრეთში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებისა და რუსების წვრთნები დასახული გეგმიდან გადახვევების გარეშე დასრულდა, ურთიერთბრალდებებს ორივე მხარე აყენებდა.

რუსეთის მეზობელ მოკავშირეთა მიერ ჩატარებულ საფრთხეების ანალიზში ხშირად იგნორირებულია შემდეგი საკითხი: რა არის რუსეთის მხრიდან სამხედრო თავდასხმის ის უპირატეობა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, წარმოშობდა ურთიერთდახმარების ვალდებულებას მე-5 მუხლის საფუძველზე, ან მოსკოვს ასეთი მოქმედებისთვის მოტივაციას მისცემდა. სავარაუდოა, რომ კრემლს, ისევე, როგორც რუსეთის გენერალურ შტაბს, ნამდვილად ექნებოდა მოვლენების ასეთი განვითარების თავიდან აცილების სურვილი, რადგან მათ უდავოდ კარგად იციან ნატოს შეკავების დოქტრინა და ის ბირთვული არსენალი, რომელიც ორივე მხარეს არსებობს და რომელიც ყველა მონაწილეს აიძულებს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას რაციონალურად იფიქროს. მაგრამ მოსკოვი დაუფარავად აცხადებს პრეტენზიას ძლიერი სახელმწიფოს სტატუსზე და პოლიტიკური თუ სამხედრო ხასიათის „კუნთების თამაშში“ მონაწილეობს, რითაც ამ პრეტენზიის დასაბუთება სურს. ის ცდილობს ალიანსის პოლიტიკური თანამშრომლობა მედიაში დესტაბილიზაციის მცდელობებით, ან კიბერშეტევებით გამოსცადოს. მოსკოვი ასევე ამოწმებს ნატოს სამხედრო რეაგირების შესაძლებლობებს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების ან სამხედრო გემების ხელში ჩაგდების კუთხით, რომლებიც ნატოს საჰაერო სივრცესთან ან ტერიტორიასთან ძალიან

ახლოს მიდიან და ზოგჯერ შიგნითაც იჭრებიან. ამავდროულად, ორივე მხარის სამხედრო შესაძლებლობების ზრდის და „კატათაგობანას“ სარისკო თამაშის ფონზე, სამხედრო კონფლიქტში გაუაზრებელი გადასვლის რისკიც იზრდება.

საეჭვოა, რომ ნატო-რუსეთის საბჭომ, რომელიც 2002 წელს ნდობის განმტკიცების და უსაფრთხოების პოლიტიკის დიალოგის პლატფორმის შექმნის მიზნით დაარსდა, უახლოეს მომავალში მდგომარეობის დევსკალაცია შეძლოს. თუმცა, ასეთი ინსტიტუტი აუცილებლად არის საჭირო, როგორც ინფორმირებისა და შეფასების ორგანო. ნატომ მისი მოქმედება ჯერ კიდევ 2008 წელს, საქართველოში კონფლიქტის შემდეგ შეაჩერა. ამის შემდეგ საბჭოს სხდომები აღდგა, თუმცა მოგვიანებით, 2014 წელს, ყირიმის ანექსიისა და რუსეთის მხრიდან აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების მხარდაჭერის საპასუხოდ, ნატომ კვლავ შეწყვიტა რუსეთთან თანამშრომლობა. ნატო-რუსეთის საბჭოს დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებასთან დაკავშირებული დამლელი ბრძოლის შემდეგ, 2016 წლის აპრილიდან სხდომები კვლავ განახლდა. საბჭოში ურთიერთდაპირისპირება თავიდანვე არსებობდა. მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ხელჩასაჭიდი ალიანსის იმ წევრებისთვის, რომლებიც მთლიანად უარყოფენ უსაფრთხოების პოლიტიკის ამ ფორუმს, აგრეთვე მათთვის, ვინც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელი სირთულეების შექმნას ფორუმის კონსულტაციების პროცესში. გარდა ამისა, არიან რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელები, რომელთაც ნატოსთან დიალოგი ფუჭად მიაჩნიათ. დღეისათვის საჭიროა ორივე მხარის ძალისხმევა, რათა საბჭოში მიმდინარე დავები კონსტრუქციული გზით მოგვარდეს. საბოლოოდ, აუცილებელია გაიმართოს დიალოგი სამხედრო დოქტრინებისა და სტრატეგიების, საფრთხის ანალიზისა და შეიარაღების კონტროლის საკითხებზე.

დავა ალიანსის შიგნით – უსაფრთხოება რუსეთის წინააღმდეგ თუ რუსეთთან ერთად

ალიანსის ფარგლებში არ არსებობს ერთიანი ხედვა სამხედრო ძალაზე დაფუძნებულ რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, არ არსებობს კონსენსუსი შესაბამისი რეაგირების საკითხზე. ნატოს წევრი ქვეყნები ჩრდილოეთი, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან ისეთ სტრატეგიას მოითხოვენ, რომელიც ორიენტირებული იქნება უსაფრთხოებაზე რუსეთის წინააღმდეგ კერძოდ, ამ კონტექსტში, პოლონეთის კონსერვატიული მემარჯვენე მთავრობა (კანონისა და სამართლიანობის პარტია) ეწინააღმდეგება იმ მთავრობებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ევროპული უსაფრთხოების მუდმივი სტრუქტურა შეიძლება აიგოს მხოლოდ რუსეთთან ერთად და არა რუსეთის წინააღმდეგ, რაც არ უნდა დამქანცველი, ხანგრძლივი და დაუსრულებელი გამოდგეს ეს პროცესი. ბოლოს და ბოლოს, ყოველ მათგანს აქვს რუსეთთან საერთო ევროპული ისტორია. კულტურული და გეოგრაფიული თვალსაზრისით, რუსეთის მსხვილი ტერიტორიები და მისი მოსახლეობა ევროპის კონტინენტის ნაწილია. გარდა ამისა, გერმანიის გაერთიანება და აღმოსავლეთი ევროპის ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა ბრეჟნევის დოქტრინაზე უარის თქმის გზით მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ გორბაჩოვის პერიოდის საბჭოთა კავშირი სწორედ საერთო უსაფრთხოების პოლიტიკას ავითარებდა. ამავდროულად, ვარშავის განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებს ბერლინის პოლიტიკა რუსეთის მიმართ. არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლებელია ბერლინი მოსკოვთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარებით იყოს დაინტერესებული (რაპალოს სინდრომი) ან ეჭვქვეშ აყენებდეს რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების რეჟიმს, რომლებიც ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყირიმის ანექსიის შემდეგ შემოიღეს. პოლონეთის საგარეო პოლიტიკა და თავდაცვის პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ვაშინგტონზეა ფოკუსირებული, ხოლო ევროპაში ტრადიციულად, დიდ ბრიტანეთს შეესაბამება. პრეზიდენტ ტრამპის ნაციონალისტური პოლიტიკის („ამერიკა, უპირველეს ყოვლისა“) და მომავალი

ბრექსიტის ფონზე, გერმანიის მიმართ ეჭვები ისე ღიად აღარ ისმის, როგორც ადრე – ამერიკის შეერთებული შტატების იმედი ველარ ექნებათ, ხოლო ევროკავშირში ვარშავა კარგავს ლონდონს, როგორც ბერლინის საპირნონეს. სწორედ ამ ფონზე, კანცლერმა მერკელმა 2017 წლის თებერვალში ვიზიტის დროს პოლონეთის მთავრობას შესთავაზა თავდაცვის სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, გერმანიის თავდაცვის ხარჯების გაზრდის ჩათვლით.

ალიანსში გაურკვეველობა და ეს ნატოს უუნარობაც არის, იპოვოს სოლიდური, პოლიტიკურ დროებით შეთანხმებას („modus vivendi“) და ეს ყველაფერი „შეკავებისა და დიალოგის“ მაგიური ფორმულით იჩქმალება. დამაჯერებლად არ ღერს არც „დაბალანსებული მშვიდობის“ ან „პლურალისტური მშვიდობის“ მეცნიერული კონცეფციები, რომლებიც ურთიერთობათა შეფასების ახალი ფორმაა. სხვათა შორის, ამ კონცეფციებში ნატო არანაირ როლს არ ასრულებს. „დაბალანსებული მშვიდობის“ იდეა მხოლოდ „აღმოსავლეთი ევროპის ექვსი ქვეყნის“ (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა) უსაფრთხოებას ითვალისწინებს. ამ კონცეფციის შესაბამისად,² ამ ქვეყნებს უსაფრთხოების გარანტიები მათ უნდა შეუქმნან, ვინც სერიოზულად არის ჩართული ამჟამინდელ კრიზისში. მაგრამ რომელია ეს ქვეყნები და როგორ უნდა მოხდეს ეს? სომხეთი და ბელარუსი არიან წევრები უსაფრთხოების შესახებ კოლექტიური ხელშეკრულების ორგანიზაციისა (CSTO), რომელსაც რუსეთი ხელმძღვანელობს, მაგრამ სომხეთი აგრძელებს ნატოსთან პარტნიორობას. დნესტრისპირეთის რეგიონში, რომელიც მოლდოვას გაემიჯნა, რუსეთის ჯარები იმყოფებიან. ცხადიგეოპოლიტიკური მიზეზების გამო აზერბაიჯანი მოსკოვთან ახლო ურთიერთობებით არის დაინტერესებული, თუმცა ნატოსთან კვლავ მართავს დიალოგს. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე უკრაინასა და საქართველოს,

პრინციპში, შესთავაზეს ნატოს წევრობა, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, რაიმე კონკრეტული თარიღი არ მიუთითებიათ და არც წევრობის სამოქმედო გეგმა მიუღიათ, „პლურალისტური მშვიდობის“ კონცეფციის ლობისტებისთვის. უკრაინისა და რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის წევრობაზე კონკრეტული უარის გაცხადება, რუსეთთან უსაფრთხოების საკითხებზე შეთანხმების გზაზე არსებული დაბრკოლებების გადალახვაში გადამწყვეტ როლს შეასრულებდა. თუმცა, ნატოს კარების დაკეტვის შესახებ საერთო გადამწყვეტილების მიღება ეწინააღმდეგება ღირებულებათა დასავლურ აღქმას და წევრების მიღების შესახებ ზოგად შეთანხმებას, რომელიც ბუქარესტში იქნა მიღებული.

ნატოს სარისკო, სამხრეთი სამეზობლო

გარდა ამისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნატოს სამხრეთი სამეზობლოდან მომდინარე უსაფრთხოების რისკები. რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, სახელმწიფო დესპოტიზმი, აგრეთვე, არშემდგარი სახელმწიფოები, ერაყიდან, სირიიდან და ლიბიიდან ადამიანთა მასობრივ გადინებას და მიგრაციას იწვევს. ესპანეთზე, იტალიასა და საფრანგეთზე, აგრეთვე საბერძნეთსა და თურქეთზე პირდაპირი ზემოქმედება ხდება. ესპანეთი, იტალია და საფრანგეთი დამატებითი მრავალმხრივი საფრთხის წინაშეც დგანან, რომელსაც ჩრდილოეთ აფრიკაში სახელმწიფოთა მზარდი არასტაბილურობა და ეთნოპოლიტიკური და რელიგიური კონფლიქტები იწვევს. გარდა ამისა, ნატოს 2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია კონფლიქტის მამოძრავებელ ფაქტორებს შორის ასახელებს აგრეთვე კლიმატის ცვლილებას, წყლის დეფიციტს და ენერგომოხმარების ზრდას. 2014 წლის უელსის სამიტის საბოლოო დეკლარაცია, რომელიც მზადყოფნის სამოქმედო გეგმას (RAP) ამტკიცებს, ასევე მიუთითებს ალიანსის „სამხრეთი სამეზობლოდან – ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთი აფრიკიდან – მომდინარე რისკებსა და საფრთხეებზე“, მაგრამ სამხედრო

2 რეინჰარდ კრუმი, ალექსანდრა ვასილიევა და საიმონ ვეისი: დაბალანსებული მშვიდობისთვის. პირველი ნაბიჯი უსაფრთხოების წიხიდან (აღმოსავლეთ) ევროპაში, 2017 წლის აგვისტო, გვ.5 <http://library.fes.de/pdf-files/id-moe/13591.pdf> (ხელმისაწვდომი იყო 2018 წლის 16 იანვარს).

უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მოკავშირეთა თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რადგან მათზე ვრცელდება მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ვალდებულება. ახლო აღმოსავლეთიდან ან ნატოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებიდან მომდინარე გამოწვევები კი, პირიქით, არ მიეკუთვნება ისეთი ტიპის საფრთხეს, რომლის დასაძლევადაც მე-5 მუხლის ამოქმედება იქნებოდა საჭირო. ამიტომაც ალიანსი აგრძელებს თავის დაბალანსებულ ქმედებას, ცდილობს ადეკვატურად გაუმკლავდეს მოკავშირეთა მიერ როგორც აღმოსავლეთიდან, ისე სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეთა აღქმას. მაგალითად, ნატოს 2015 წლის მასშტაბური წვრთნები „ერთიანი სამკაპი“ („Trident Juncture“) ითვალისწინებდა აფრიკაში ჰიპოთეტურ კონფლიქტს, რომელიც ზემოქმედებას ახდენდა პორტუგალიაზე, ესპანეთზე, იტალიასა და ნატოს წევრ სხვა ქვეყნებზე. თუმცა ხაზგასმით იყო ნათქვამი რომ ეს იყო „წვრთნები მე-5 მუხლის ფარგლების გარეთ“.

ნატო ასევე დიდი სიფრთხილით უყურებს თურქეთს. ერთი მხრივ, გეოსტრატეგიული მდებარეობის (აზიასა და ისლამურ სამყაროსთან ხიდის როლი, აგრეთვე სირიასთან, ერაყსა და ირანთან საზღვრები) გამო ანკარა ნატოსთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია. მეორე მხრივ, თურქეთის ავტორიტარული ხელისუფლება პანთურქული ამბიციების მიმდევარია მეზობელ რეგიონში და ამჟამად, უსაფრთხოების პოლიტიკაში რუსეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის ემზადება. თურქეთის შეთანხმებამ მისი არმიის რუსული თანამედროვე რთული რაკეტსანიშანაღმდეგო თავდაცვის სისტემით „S-400“ აღჭურვის თაობაზე ნატოში კითხვები წარმოშვა. ეს ნაბიჯი მიიჩნევა ამერიკის შეერთებული შტატების გამიზნულ შეურაცხყოფად, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცდილობდა თურქეთსა და რუსეთს შორის გარიგების თავიდან აცილებას. ამრიგად, ალიანსი ვალდებულია მუდმივად აწარმოოს სტრატეგიული გაანგარიშებები თურქეთთან მიმართებით. მან ისე უნდა მოახდინოს თურქეთზე პოლიტიკური ზეწოლა რომ

საბოლოოდ არ დაკარგოს ზეგავლენა პარტნიორზე, რომელსაც ნატოში სიდიდით მეორე შეიარაღებული ძალები ჰყავს. ანკარის ავტოკრატიის გამიზნულმა შეურაცხყოფამ ალიანსის განზილება გამოიწვია, რაც კიდევ უფრო სერიოზულ გამოწვევად იქცა მას შემდეგ, რაც თურქეთმა სამხედრო მოქმედებები აფრინის რაიონში, სირიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში განახორციელა. რეგიონს, რომელზედაც თურქეთის არმია თავდასხმებს ახორციელებს, აკონტროლებენ სირიის ქურთთა შეიარაღებული ძალები (YPG), რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სირიიდან ისლამური სახელმწიფოს განდევნაში. თუმცა თურქეთს ეს ქურთი მებრძოლები მიაჩნია თურქეთის ქურთთა ორგანიზაციის, ქურთთა მუშათა პარტიის (PKK), მოკავშირეებად, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციად არის კლასიფიცირებული. მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის დროს სირიის ქურთთა შეიარაღებულ ძალებთან იყო დაკავშირებული. ახლა ნატო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ალიანსმა უიმედოდ უნდა ადევნოს თვალი, თუ როგორ ახვევს თავს რეგიონს მისი წევრი, თურქეთი, თავის ეროვნულ ინტერესებს სამხედრო საშუალებების გამოყენებით, რისთვისაც გერმანიის მიერ მიწოდებულ სამხედრო ტექნიკასაც კი იყენებს, და ამკარად სულ არ აღელვებს მის მოკავშირეთა პოზიციები, რაც მისმა პრეზიდენტმა კიდევ დაადასტურა. ეს ალიანსს ამ რეგიონისთვის საიმედო პოლიტიკის შემუშავებას ურთულებს.

3. ნატოს როლი საერთაშორისო ტერო-რიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

„მომავლის ნატო ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს ტერორიზმსა და იმიგრაციაზე, აგრეთვე საფრთხეზე, რომელსაც რუსეთი ქმნის ნატოს აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრებთან“, – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ბრიუსელში, 2017 წლის მაისში სახელმწიფო ლიდერების და მთავრობები შეხვედრაზე, რომელიც პირველი იყო მისი არჩევის შემდეგ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ რომ ტრამპს სურს, ალიანსი გახდეს

ძლიერი ანტიტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც მალე დაიწყებს მოქმედებას ახლო აღმოსავლეთში? არის კი ნატოს როლი „მნიშვნელოვან საბრძოლო ოპერაციებში“ ჩართვა, რასაც ცალსახად გამორიცხავს კანცლერი ანგელა მერკელი?

ტერორიზმი ენოდება ადამიანთა და ობიექტთა მიმართ ძალადობრივ ქმედებას, რომელიც შიშისა და ძრწოლის დანერგვის მიზნით ხორციელდება. დღეისათვის ტერორიზმის რაიმე საყოველთაო მეცნიერული განსაზღვრება არ არსებობს. სწორედ ამიტომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) და ნატო იყენებენ ტერმინს „ტერორიზმი“, როგორც საერთო ტერმინს, დიფერენცირების გარეშე. ეს არის პოლიტიკური ტერმინი, რომელიც ძნელად გასამიჯნია, ისეთი ქმედებებისგან, როგორცაა, მაგალითად, საოკუპაციო ძალის ძალადობრივი ოპოზიცია, თვითღიარებული განმათავისუფლებელი მოძრაობები ან სხვა შიდა ეთნიკური, რელიგიური, რეგიონული თუ ტომთაშორისი კონფლიქტები. 1990-იან წლებში, არშემდგარ სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, ტერორისტულ ორგანიზაციათა ფორმებმა ქსელების ურთიერთქმედების, მოქნილობისა და მობილურობის მაღალი დონის, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროფესიული გამოყენების და საზღვრების მოშლის წყალობით, საერთაშორისო განზომილება შეიძინა. საერთაშორისო ტერორიზმი, როგორც ალიანსისა და გლობალური უსაფრთხოების წინაშე მდგარი რეალური საფრთხე, ალიანსმა განსაზღვრა მხოლოდ 2010 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში (რომელიც დღესაც ძალაშია), ანუ, ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ. უსაფრთხოების პოლიტიკაში ფოკუსის ეს ცვლილება განხილული უნდა იყოს „11 სექტემბრის“ კონტექსტში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სტრატეგიული პარადიგმის ცვლილებაა და ვაშინგტონისთვის ნატოს აქტუალურობას ეჭვქვეშ აყენებს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ალიანსის უძლიერესი სამხედრო ძალა, მანამდე უცნობი ინტენსივობის მქონე ასიმეტრიული საბრძოლო ოპერაციების თავდასხმის ობიექტი

გახდა თუმცა, ვინაიდან ტერორიზმი ყველა მოკავშირეს არ მიაჩნდა ალიანსის ახალ ძირითად ამოცანად (რომელიც დღესაც აქტუალურია), 2010 წლამდე ამ საფრთხისთვის ოფიციალურ სტრატეგიაში სათანადო ადგილის მიჩენა და მისი „უსაფრთხოების ახალ გამოწვევად“ გამოცხადება ვერ მოხერხდა.

მაგრამ ალიანსს მხოლოდ მოუწოდებენ

2001 წლის 12 სექტემბერს ნატოს საბჭომ მიუთითა ურთიერთდაცვის დებულებაზე, რომელიც იმ პირობით მოქმედებს, რომ ტერორისტული აქტები სხვა ქვეყნებიდან კონტროლდება.³ 2 ოქტომბერს გამოძიების შედეგების მიღების შემდეგ ალიანსმა გადაწყვეტილება მიიღო, 4 ოქტომბერს კონკრეტული სამხედრო ღონისძიებები განეხორციელებინა.⁴ თუმცა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ურთიერთავადაცვის დებულების ამოქმედებისკენ არ მოუწოდებიათ. მას სურდა, ალიანსის ორგანოებთან შეუთანხმებლად, თვითონ გადაენწყვიტა, სად და როგორ დაიწყებდა სამხედრო რეაგირებას. გაეროს უშიშროების საბჭოს 1368-ე რეზოლუციით პირდაპირ არის აღიარებული, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია თავდაცვა განახორციელოს გაეროს წესდების 51-ე მუხლის საფუძველზე. ვინაიდან „ალ-ქაიდას“ ტერორისტულ ქსელზე პასუხისმგებელმა პირებმა, რომლებმაც ტერორისტული აქტები განახორციელეს, თავშესაფარი ავღანეთში, თალიბანის მმართველი რეჟიმის ფრთის ქვეშ მიიღეს, ~ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ოპერაცია ავღანეთზე იქნა ფოკუსირებული.

3 „საბჭო შეთანხმდა, რომ თუ დადგინდა, რომ ეს შეტევა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ გარედან განხორციელდა, იგი მიჩნეული იქნება მოქმედებად, რომელიც შედის ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის ფარგლებში.“

4 ნატოს გენერალური მდივნის, ლორდ რობერტსონის განცხადება პრესისთვის, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს განწყვეტილების შესახებ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის განხორციელების თაობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებზე 11 სექტემბერს განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, <http://www.nato.int/docu/speech/2001/s011004b.htm> (ხელმისაწვდომი იყო 2018 წლის 11 იანვარს).

2001 წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ტერორიზმს ომი გამოუცხადა და დაიწყო ოპერაცია „მდგრადი თავისუფლება“ („Enduring Freedom“). როდესაც 2014 წლის დეკემბერში მისმა მონაცვლემ, ბარაკ ობამამ, ოპერაციის დასრულება გამოაცხადა, რეტროსპექტიულად, ეს იყო ისტორიაში უმსხვილესი ანტიტერორისტული კამპანია, რომელიც მოიცავდა მრავალ სამხედრო ქვეოპერაციას სუბსაჰარული აფრიკიდან აფრიკის რქამდე, ცენტრალურ აზიამდე, ავღანეთამდე და პრაქტიკულად მთელ მარშრუტზე, ფილიპინებამდე. ნატოს წევრი ქვეყნები ამ მისიებში სხვადასხვა ოპერატიულ როლს ასრულებდნენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს არ იყოს ნატოს მისია. 2001 წლის დეკემბრიდან ავღანეთში მოქმედებდნენ აგრეთვე უსაფრთხოების მხარდაჭერის საერთაშორისო ძალები (ISAF), რომლებიც გაეროს 1386-ე რეზოლუციით იყვნენ უფლებამოსილი, ნატოს კი მხოლოდ 2003 წლის აგვისტოს დასაწყისში დაექვემდებარნენ. ამ ძალების მთავარი ამოცანა იყო ავღანეთის შეიარაღებული ძალებისთვის სამშვიდობო ოპერაციებში დახმარების განევა, თავდაპირველად – მხოლოდ ქაბულში, ხოლო 2006 წლიდან – ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ ქვეყნის აღდგენა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ტერორიზმთან ბრძოლა კვლავ რჩებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ოპერაციების პარალელურ ამოცანად. არცერთი განხორციელებული სამხედრო ოპერაცია არ ეფუძნებოდა მე-5 მუხლს, რომელიც ურთიერთთავდაცვას ითვალისწინებს.

ურთიერთთავდაცვის შესახებ მე-5 მუხლის დებულებამ იურიდიული საფუძვლის როლი პირველად შეასრულა ორ სამხედრო მისიაში, რომელთა მიმართაც ვაშინგტონს მხოლოდ ვიწრო ინტერესი ჰქონდა. ნატოს ანტიტერორისტული კამპანია „არწივის დახმარება“ („Eagle Assist“), რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მხარდასაჭერად ჩატარდა 11 სექტემბრის შემდეგ, მის საჰაერო სივრცეს AWACS-ის ხუთი თვითმფრინავით აკონტროლებდა, მხოლოდ შვიდ თვეს გაგრძელდა. ნატოს მეორე ოპერაცია, „აქტიური ძალისხმევა“ („Active Endeavour“), ხმელთაშუა

ზღვაზე მეთვალყურეობას ითვალისწინებდა. ეს ოპერაცია, რომელიც მე-5 მუხლის საფუძველზე მიმდინარეობდა, 2016 წლის ივლისში ვარშავის სამიტის გადამწყვეტილებით შეწყდა და ხმელთაშუა ზღვის დაცვის გაფართოებული მისიით „ზღვის მცველი“ („Sea Guardian“) შეიცვალა. ხმელთაშუა ზღვაში ახალი მისიის ამოცანები ამჟამად უფრო გაფართოვდა: იგი მოიცავს ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია ხმელთაშუა ზღვის მოსაზღვრე ქვეყნებში სწავლების და მათი უსაფრთხოების ძალების შესაძლებლობათა გაძლიერების მხარდაჭერასთან, აგრეთვე ადამიანის ტრეფიკინგის ქსელის წინააღმდეგ ევროკავშირის ხელმძღვანელობით მიმდინარე ოპერაციისთვის „სოფია“ (EUNAVFOR MED) სიტუაციური წესის შექმნასთან, რომელიც მუდმივად უწევს დახმარებას ნატოს საზღვაო ოპერატიულ დანაყოფებს ეგეოსის ზღვაში. ამ ოპერაციებისთვის სამართლებრივი საფუძვლები უზრუნველყოფილია უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით, ნატოს გადამწყვეტილებებით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი დებულებებით.

ნაბიჯ-ნაბიჯ საბრძოლო ოპერაციებისკენ?

ამერიკის შეერთებული შტატები არ არის ერთადერთი, ვისაც თავი ტერორიზმთან მებრძოლად მიაჩნდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში განხორციელებული მასობრივი ტერორისტული აქტები „ისლამური სახელმწიფოს, მტრული არმიის, საომარ მოქმედებად“ გამოაცხადა. ნატოს ურთიერთთავდაცვის დებულების ამოქმედება არც მას მოუთხოვია. ნაცვლად ამისა, პარიზმა თავის პარტნიორებს ევროკავშირის ფარგლებში, ევროკავშირის ხელშეკრულების 42,7-ე მუხლის შესაბამისად მიმართა დახმარების მოთხოვნით, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული 17 ნოემბერს. სწორედ ამ კონტექსტში, გერმანიამ გააფართოვა თავისი სამხედრო მოქმედებები მალიში, ალ-ქაიდასა და ანსარ დინის (რწმენის დამცველები) მებრძოლთა წინააღმდეგ და იქ საკუთარი ჯარისკაცების რაოდენობა 650-მდე გაზარდა

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალგანზომილებიანი სტაბილიზაციის მისიის (MINUSMA)⁵ ფარგლებში. პარიზის ტერორისტული აქტების შემდეგ, 2015 წლის 4 დეკემბერს, გერმანიის ბუნდესტაგმა ხმათა დიდი უმრავლესობით მხარი დაუჭირა ისლამური სახელმწიფოს საწინააღმდეგო საერთაშორისო ალიანსს, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არმიასაც (ბუნდესვერსაც) ანიჭებს უფლებამოსილებას, 1200-მდე ჯარისკაცით,⁶ მონაწილეობა მიიღოს ოპერაციაში „შემხვედრი დაეში“ („Counter Daesh“), ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით განხორციელებული ოპერაციის „ურყევი სიმტკიცე“ („Inherent Resolve“) ფარგლებში, „დაზვერვის, დაცვის კომპონენტებისა და ლოჯისტიკის“, აგრეთვე საჰაერო ხომალდებზე სანავის შევსების და საზღვაო ესკორტირების ფორმით, საფრანგეთის ავიამზიდებისა და პირადი შემადგენლობისთვის დახმარების გასანევად. ხოლო 2016 წლის 26 იანვარს ბუნდესტაგმა, ხმათა უმრავლესობით, კენჭი უყარა „ქურთისტანის რეგიონის მთავრობის უსაფრთხოების ძალების მომზადებაში გერმანიის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის გაგრძელებას“.⁷

დეფიციტი და პოსტულატები

საერთაშორისო ტერორიზმთან გერმანიის ბრძოლა ყოველთვის წმინდა რეაქტიული ხასიათის იყო და ძირითადად გულისხმობდა სოლიდარობის დემონსტრირებას ალიანსის პარტნიორებისთვის: ამერიკის შეერთებული შტატებისთვის – ავღანეთში; ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, დიდი ბრიტანეთისა და თურქეთისთვის – ერაყში; და საფრანგეთისთვის – მალიში. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთისგან განსხვავებით, გერმანიას,

5 <http://dip21.bundestag.de/dip21/btd/18/072/1807206.pdf>.

6 Kampf gegen Terrormiliz, Bundestag beschließt Syrien-Einsatz, <https://www.bundesregierung.de/Content/DE/Artikel/2015/12/2015-12-01-syrien-mandat-bundeswehr.html> (ხელმისაწვდომი იყო 2018 წლის 11 იანვარს).

7 გერმანიის ბუნდესტაგი, სტენოგრაფიული ჩანაწერი, 215-ე სესია, დღის წესრიგის მე-6 საკითხი, <http://dipbt.bundestag.de/doc/btp/18/18215.pdf> (called up on 11 January 2018)

მისი კოლონიური ისტორიიდან გამომდინარე, ჰინდუქუშის, არაბეთის ნახევარკუნძულის ან აფრიკის მიმართ რაიმე ფუნდამენტური, სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესი არა აქვს. სამხედრო მხარდაჭერაში მონაწილეობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას განხილული არ ყოფილა, ექნება თუ არა რაიმე სტრატეგიული ინტერესი თვით გერმანიას არაბეთის ნახევარკუნძულზე ან აფრიკაში და თუ ექნება, რა იქნება მისი ინტერესის სფერო. როგორც ყოველთვის, მიზეზები, მხოლოდ, შემდეგ დასახელდა. მაშინდელი პოლიტიკური ფორმულა ძირითადად ასე იყო წარმოდგენილი: ჩვენი დახმარება საჭიროა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტაბილურობა სამხედრო ვალდებულებების მეშვეობით, გერმანიის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისთვის.

იყო კი ნატოს სამხედრო ოპერაციები ეფექტიანი საერთაშორისო ტერორიზმის აღსაკვეთად? ისინი ვერ აღიკვეთა. ტერორიზმი კვლავ არსებობს. ავღანეთში უსაფრთხოების კუთხით სიტუაცია უფრო მძიმეა, ვიდრე დიდი ხნის განმავლობაში იყო. გაეროს მანდატით მალიში მოქმედი სამშვიდობო მისია, რომლის შემადგენლობაშიც არიან ფრანგი და გერმანელი სამხედროები და კიდევ 50 ქვეყნის წარმომადგენლები, მნიშვნელოვანი წნეხის ქვეშ არის. სირიასა და ერაყში ისლამური სახელმწიფოს მიერ ოკუპირებული ტერიტორიების სამხედრო ძალებით განთავისუფლების შემდეგ არ უნდა გაკეთდეს ნაადრევი დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს ტერორისტული ჯგუფის დასასრულის დასაწყისია. პარიზში, სტამბოლში, ბრიუსელში, ნიცაში, ბერლინში, სტოკჰოლმსა და მანჩესტერში განხორციელებული ტერორისტული აქტების მსგავსი ქმედებების განსახორციელებლად, ტერორისტებს რაიმე ტერორისტული სტრუქტურა არ სჭირდებათ. ერაყსა და სირიაში ტერორისტულ სტრუქტურებთან ბრძოლის პროცესში ნატო მკაფიო სამხედრო ფრონტების გარეშე მოქმედებს. ნატოს ძალები, გარდა სპეციალური დანიშნულების ძალებისა, არ არის განვითარებული ანტიტერორისტული ოპერაციებისთვის და ისინი მისიის ამ სპექტრის ფარგლებში არც უნდა იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა,

მისიის მანდატები ხშირად არ განსაზღვრავს მკაფიო მიზნებსა და ამოცანებს.

ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანი სტრატეგიები უპირატესად სამხედრო მოქმედებებზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, როგორც ეს დღემდე ხდებოდა. ყველაფერს, რასაც წარმატებით აკეთებენ სამხედროები (საჰაერო თავდასხმები, საზღვაო მეთვალყურეობა, წვრთნები, იარაღით აღჭურვა, სპეციალური რაზმების მიზანმიმართული შეტევები ან უპილოტო საფრენი აპარატებით თავდასხმების განხორციელება), შესაძლოა ხელი შეუწყოს ტერორიზმის შეკავებას, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით კი, შეიძლება გარკვეული პერიოდით კიდევ აღკვეთოს იგი. მაგრამ მიზანი და ამოცანა უნდა იყოს უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავება სხვა ორგანიზაციებთან, კერძოდ, ევროკავშირთან, თანამშრომლობით, სადაც შემდგომ მოხდება ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან: ჯერ – კოორდინირებული საპოლიციო და სადაზვერვო ოპერაციებით და მხოლოდ ამის შემდეგ – სამხედრო მოქმედებებით.

ჯერ კიდევ გასარკვევია, არის თუ არა ბრიუსელის 2017 წლის მაისის სამიტი ტერორიზმთან ბრძოლისადმი ახალი მიდგომა. მიღებულ იქნა გადამწყვეტილება, რომ ნატო გაერთიანებულ ანტიტერორისტულ ალიანსს შეუერთდებოდა. ეს გადამწყვეტილება ადრეც იყო მიღებული ვაშინგტონის თხოვნით – ფაქტია, რომ ნატოს წევრი თითქმის ყველა სახელმწიფო ამ ალიანსის წევრია – თუმცა მანამდე ნატო, როგორც ორგანიზაცია, მასში არ მონაწილეობდა. არც იმის სურვილი არსებობს, რომ ორგანიზაციამ თვითონ ითაოს ამ კოალიციის ხელმძღვანელობა, რომელშიც 68 ქვეყანაა გაერთიანებული. ეს როლი ამერიკის შეერთებულ შტატებს რჩება. მაშასადამე, კანცლერი მერკელი მართალი იყო, როდესაც ამ ნაბიჯს სიმბოლური უწოდა.

მაშინ რა არის დამატებითი სარგებელი სამხედრო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებისთვის იმ დროს, როდესაც ისლამურმა სახელმწიფომ ძირითადად დაკარგა ტერიტორიები, რომლებსაც მანამდე ფლობდა ერაყსა და სირიაში?

საერთაშორისო ტერორიზმის შეკავებისთვის ნატომ კონცენტრირება უნდა მოახდინოს ტერორისტულ დაჯგუფებებთან ბრძოლაზე, რომელიც სამხედრო ოპერაციების სახით იქნება ორგანიზებული, აგრეთვე მისიებზე, რომლებიც განვრთნიან და დაეხმარებიან მათი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქვეყნების უსაფრთხოების ძალებს. თავდაცვაზე ორიენტირებული ეს ალიანსი ვერ გამოდგება და არც არის გათვალისწინებული ტერორიზმთან ბრძოლაში რაიმე სხვა სახის მოქმედებებისთვის – განსაკუთრებით ისეთი ოპერაციებისთვის, რომლებიც მიმართულია ტერორიზმის მიზეზებისკენ, ან საპოლიციო ოპერაციებისთვის.

თუმცა ეს იმას ნიშნავს, რომ წევრ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტი გარდაუვალია, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელსაც სურს, ნატომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო დიდი როლი შეასრულოს. გერმანიამ ამ კონფლიქტს თავი არ უნდა აარიდოს.

4. ნატოს ოპერაციები

ცივი ომის დასრულების შემდეგ ალიანსის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ ანგარიშს გამოფხიზლების ეფექტი აქვს. ნატოს პირველი ოპერაციები, რომლებიც დასავლეთ ბალკანეთში 1995 წლიდან ხორციელდებოდა, გამოირჩეოდა მასიური შეიარაღებული ძალებით, რომლებშიც 60 000 ჯარისკაცი შედიოდა და რომლებიც შედარებით მცირე ძალებად იქნა მიჩნეული. ბოსნია-ჰერცეგოვინასა და კოსოვოში სამოქალაქო ომის შემდეგ სტაბილიზაციის ოპერაციების განხორციელების ძალები (IFOR), სტაბილიზაციის ძალები (SFOR) და კოსოვოს ძალები (KFOR) ჩაერთვნენ კონფლიქტების მართვის შედარებით დინამიკურ მრავალმხრივ სტრატეგიაში, რომელიც მიზნად ისახავდა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნისთვის გრძელვადიან მხარდაჭერას. მიუხედავად ამისა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შედეგად შექმნილი სახელმწიფოების აღდგენისა და

სტაბილიზაციის პროცესი შრომატევადი და გაჭიანურებული აღმოჩნდა.

ავღანეთში 14 წლის შემდეგაც არ დასრულებულა ნატოს მისია, რომელიც 2003 წელს დაიწყო. პირიქით, დღეისათვის ძალები ძლიერდება. თუ განვლილ პერიოდს შევხედავთ, ძნელია მას წარმატებული ოპერაცია ვუწოდოთ, მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთში ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემები უდავოდ გაუმჯობესდა. უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები და თალიბანის მოძრაობის შეკავება, ისლამური სახელმწიფო და მძიმე ეკონომიკური ვითარება, ღრმად ფესვამდგარი კორუფცია და ნარკოტიკების კულტივირება კვლავ მოუგვარებელ საკითხებად რჩება. თალიბანმა ქვეყნის დიდ ტერიტორიებზე უკვე აღადგინა კონტროლი. ISAF-ის ოპერაციების დასრულების და 2014 წელს „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ („Resolute Support“) მისიაზე გადასვლის შემდეგ, რომელიც ავღანეთის შეიარაღებული ძალების დახმარებაზეა ორიენტირებული, უსაფრთხოების სფეროში სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. ამ ჩარევაში ნატოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი თავიდანვე გამოვლინდა: 2001 წელს თალიბანის რეჟიმის კრახის შემდეგ, საერთო პოლიტიკური და სამხედრო დაგეგმვის არარსებობა. ქვეყნის სტაბილიზაციისადმი პოლიტიკური მიდგომები არ ითვალისწინებდა ავღანეთის კულტურული და სოციალური სტრუქტურების სპეციფიკურ ასპექტებს და, შესაბამისად, სტაბილიზაციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

ქვეყნის სტაბილიზაციისთვის განკუთვნილი ძალები თავიდანვე მცირე იყო და სრულიად არასაკმარისი თალიბანის მეომრების დაბრუნების პროცესის აღსაკვეთად, რომელიც 2003 წლიდან მიმდინარეობს. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ამზადებდა თავის შეიარაღებულ ძალებს ერაყში შესასვლელად. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ოპერაცია ერთდროულად და სხვადასხვა სტრუქტურაში ხორციელდებოდა, კიდევ უფრო უშლიდა ხელს საერთო მიზნისა და ამოცანის მიღწევას.

2011 წელს, ლიბიაში კადაფის რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალთა მხარდასაჭერად ნატოს მიერ განხორციელებულ საჰაერო ოპერაციაში („გაერთიანებული დამცველი“ („Unified Protector“)) არასაფრენი ზონით და იარაღის შეტანაზე ემბარგოთი) არასოდეს არსებულა რაიმე სტრატეგია ქვეყანაში ომის შემდგომი წესრიგის ან სტაბილიზაციის შესახებ, რაც იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ნატოს საბჭოში გადაწყვეტილების მიღების პროცესი თავისი ბუნებით არც ანალიტიკური იყო და არც შორსმჭვრეტელური. მისია „გაერთიანებული დამცველი“, რომელიც მიზნად ისახავდა ლიბიის მოსახლეობის კადაფის რეჟიმისგან დაცვას, გაეროს მანდატით მას შემდეგ დაიწყო, რაც ნათელი გახდა, რომ ამ ოპერაციაში, საფრანგეთმა დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით წამოიწყო, საჭირო იყო ნატოს ჩართულობა, რომელიც ნატოს წამყვანი სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები ყოყმანობდა და მა, გადანყვიტა, ხელმძღვანელობა „ზურგიდან“ განეხორციელებინა, როგორც პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა. შემდეგ ოპერაცია ამბოხებულთა საჰაერო მხარდაჭერის სახით გაგრძელდა, რაც საბოლოოდ კადაფის ჩამოგდებით და აჯანყებულთა მიერ მისი განადგურებით დასრულდა. ამის შემდეგ ქვეყანა ქაოსმა მოიცვა.

ნატომ პოლიტიკურ-სტრატეგიულ დონეზე დამკვეთი შეცდომებისა და წარუმატებლობის ანალიზისგან დასკვნები ვერ გააკეთა. თუმცა ეს აუცილებელი საჭიროებაა, სანამ ნებისმიერი სამომავლო მისია ამოქმედდება. უკვე 2006 წელს, ნატოს იმავე წლის რიგის სამიტის მომზადების პერიოდში, ნატოს საბჭომ მიიღო „მასშტაბური მიდგომის“ („Comprehensive Approach“) კონცეფცია ოპერაციების სამხედრო-პოლიტიკური კონფიგურაციის შესახებ, მაგრამ მის მომზადებას არ მოჰყოლია არანაირი გაგრძელება, რაც საჭირო იყო დამატებითი კონცეპტუალიზაციისთვის ან მისი ადეკვატური განხორციელებისთვის. ეს, სიტუაციისა და წარმატებული მოქმედების სტრატეგიების დეტალურ ანალიზთან ერთად, პოლიტიკის ყველა შესაბამისი სფეროს ეფექტიან კოორდინაციას მოითხოვს. ნატოს სამომავლო მოქმედება დამოკიდებული იქნება სიცოცხლისუნარიანი, პერსპექტიული

და განხორციელებადი პოლიტიკურ-სტრატეგიული კონცეფციის შემუშავებაზე, რომელიც ამოცანების ოპერატიულ სიცხადეს და რისკების დეტალურ ანალიზს შეათავსებს. შეიარაღებული ძალების საერთო პოლიტიკური სტრატეგიის არქონის ან სტრატეგიის შემუშავების უუნარობის კომპენსირებისთვის გამოყენების პრაქტიკას ბოლო უნდა მოეღოს. თუ პოლიტიკურ სტრატეგიაში სამხედრო ოპერაციების წარმატებული ჩართვა შეუძლებელია, სამხედრო ძალები არ უნდა იქნეს ჩართული. ნატომ არ უნდა მიიღოს ისეთი სტრატეგიები, რომლებიც შეიმუშავა ავღანეთისთვის და რომლებიც ცდებისა და შეცდომების პრინციპს ეფუძნება.

გარდა ამისა, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს იმ შეიარაღებული ძალების სიდიდის სწორად განსაზღვრას, რომლებიც საჭიროა ასეთი ოპერაციებისთვის, კერძოდ, თავდაპირველი შესვლის ოპერაციებისთვის. ხშირად, სტაბილიზაციის მისიების დროს, უფრო ადვილად მისაღებია მინიმალური, მცირე ოპერატიული ძალები, რათა მოპოვებულ იქნეს ადგილობრივი პოლიტიკური მხარდაჭერა. ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რა ფარგლებში იქნება შესაძლებელი მომავალში ჯარების სიმცირის ტექნოლოგიებით კომპენსირება.

დღეისათვის გადანყვეტილების მიღებისა და დაგეგმვისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა ივარაუდონ, რომ ნატოს წევრები, მათი მიმდინარე ოპერატიული ვალდებულებებიდან გამომდინარე, ვერ განახორციელებენ საშუალო- და მსხვილმასშტაბიან ოპერაციებს, მაშინაც კი, თუ ზოგიერთი ქვეყანა უარს იტყვის თავისი შეიარაღებული ძალების რაოდენობის შემცირებაზე. საბიუჯეტო ასიგნებების გამოყენებით ეროვნული შეიარაღებული ძალების გაზრდას, რაც ახლა კვლავ იგეგმება, ხუთი-ათი წელი მაინც დასჭირდება.

აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, მიღებულ იქნეს პრინციპული გადანყვეტილება, იქნება თუ არა ნატო ორიენტირებული უფრო კრიზისულ ინტერვენციებზე, და თუ იქნება, რა ფორმით განხორციელდება ეს ინტერვენციები. საბოლოოდ ეს განაპირობებს, რა სამხედრო შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სურვილი

იქნებათ სახელმწიფოებს.

5. უელსში ნატოში პასუხისმგებლობის გადანაწილებასა და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ორპროცენტთან განაკვეთზე შეთანხმდნენ

ესეციმკონტექსტშია, რომელშიც მიმდინარეობს დავა ალიანსში პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე. მოკავშირეთა შორის ეს დავა ისევე ძველია, როგორც თვითონ ნატო. წევრ სახელმწიფოთა ბიუჯეტებიდან თავდაცვის ხარჯებისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის ორპროცენტთან განაკვეთის დადგენის საკითხი ნატოში პირველად 15 წლის წინ განიხილეს. იგი თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც რეკომენდაცია თავდაცვის დაგეგმვის პროცესის ფარგლებში, ხოლო მოგვიანებით ჩართულ იქნა ნატოს თავდაცვის მინისტრთა, აგრეთვე სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ მიღებულ დეკლარაციებში. გერმანიის ყველა მთავრობა თანამიმდევრულად ამბობდა უარს რაიმე ასეთი სავალდებულო ფორმულირების მიღებაზე და მათი მიღებისთვის ხელის შეშლაც შეძლო. ტექსტური ვერსიისთვის, რომელიც საბოლოოდ მიღებულ იქნა 2014 წლის უელსის სამიტიის კომუნიკსთვის და რომელიც შემდეგ გერმანიაში ცხარე კამათის საგანი გახდა, გერმანიამ დასაშვებად მიიჩნია ფორმულირება („მიზანია ათწლეულის განმავლობაში 2%-იანი ორიენტირის მიღწევა“), რომელიც თავიდანვე განიმარტა, როგორც გერმანიის თანხმობა, მიახლოებოდა ორპროცენტთან ნიშნულს ათი წლის განმავლობაში, მაგრამ მან ვალდებულება აიღო, რომ საბოლოოდ მიაღწევდა ამ მიზანს.

ნატოს წევრ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობისთვის, თავდაცვის ხარჯების მშპ-ის ორ პროცენტამდე გაზრდა თავდაცვის ბიუჯეტის მასიური ზრდის ტოლფასია – მაგალითად, გერმანიისთვის ეს პრაქტიკულად 2014 წლის თავდაცვის ბიუჯეტის გაორმაგებას ნიშნავს. დაგეგმილი ზრდის კონტექსტში, ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მართლაც მოითხოვს განხილვას და სტრატეგიულ მიზანსა და ამოცანებთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევას.

სტრატეგიული კონცეფცია შესაფერი სა-

ფუძველი იქნება რისკებისა და საფრთხეების ახალი ანალიზისთვის, აგრეთვე სტრატეგიული ჩარჩოსთვის, რომელსაც დაეფუძნება თავდაცვის ხარჯების ზრდა. გასაკვირი იქნებოდა, თუ ალიანსი, ერთი მხრივ, მის წევრ სახელმწიფოებს თავდაცვის ხარჯების გაზრდაზე დაითანხმებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერ მოახერხებდა მიზანზე, პოლიტიკურ ამოცანაზე შეთანხმების მიღწევას და ვერ დაასაბუთებდა, რისთვის იყო საჭირო ხარჯების გაზრდა. თუკი თავდაცვის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდის სასარგებლო არგუმენტები კვლავ ბუნდოვანი დარჩებოდა და საღ აზრს გაუგებრად ასახავდა, ალიანსი მალე გადაიქცეოდა უსახო, კონკრეტული მიზნის არმქონე კოალიციად – ერთა ლიგად, რომელიც მსურველი სახელმწიფოებისგან დროებით კოალიციებს ქმნის ალიანსის შიგნით, სადაც უფრო მსხვილი სუბიექტები ცდილობენ ალიანსი საკუთარი ეროვნული ინტერესებისთვის გამოიყენონ.

ორპროცენტიანი განაკვეთის აზრსა და სარგებლიანობაზე დავა შეიძლება. ეს საკმაოდ ბუნდოვანი ციფრია და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რეალურად რა სამხედრო შესაძლებლობებს სთავაზობენ ალიანსს ნატოს პარტნიორები. ამრიგად, ნატოს ხუთი ევროპელი მოკავშირის (რომლებიც თავდაცვაზე უკვე ხარჯავენ თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ორ პროცენტს) რეალური წვლილი მთლიანობაში შესაძლოა იმაზე ნაკლები იყოს, ვიდრე ზოგადად ვარაუდობენ. ეს განსაკუთრებით ეხება ნატოს პარტნიორებს – საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს, რომლებიც ხშირად მისაბამ მაგალითად მიაჩნიათ. რეალურად, სავარაუდოდ, ორივე ქვეყანა თავისი თავდაცვის ბიუჯეტის 15-20 პროცენტს საკუთარი ბირთვული არსენალის ექსპლუატაციასა და მოდერნიზაციაზე ხარჯავს. საფრანგეთის ბირთვული იარაღი ნამდვილად არ არის განკუთვნილი ნატოს შეკავების ოპერაციებისთვის. ნატოს მემფეობით შეკავების ოპერაციებში, ბრიტანეთის ბირთვული იარაღის წვლილი კი ალბათ სრულიად უმნიშვნელოა. გარდა ამისა, ორივე ქვეყანა მნიშვნელოვან ფინანსებს ახმარს თავისი შეიარაღებული ძალების ეროვნული ამოცანების მიღწევას, მაგალითად,

საზღვარგარეთულ ტერიტორიებზე, ძირითადად აფრიკაში. გარდა ამ ყველაფრისა, თვითონ საფრანგეთი დღეისათვის ორპროცენტიანი ნიშნულზე დაბლაა, კერძოდ, ეს მაჩვენებელი მისი მშპ-ის 1,79 პროცენტია. ნატოს ოპერაციებში საფრანგეთის წვლილი, ტრადიციულად, უმნიშვნელოა და ნატოს სხვა პარტნიორთა წვლილს ვერც კი შეედრება. მაგალითად, ავღანეთში ISAF-ის ფარგლებში მიმდინარე „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ ოპერაციაში დღეისათვის არცერთი ფრანგი არ მონაწილეობს. „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ მისიაში ბრიტანეთის წვლილი კი გერმანიის მიერ უზრუნველყოფილი ცოცხალი ძალის ნახევარს შეადგენს.

ამ ფონზე, უფრო გონივრული იქნება, ორპროცენტიანი განაკვეთის საკითხის განხილვის ნაცვლად, გაიმართოს დებატები შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებისა და იმ წვლილის შესახებ, რომელიც წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ რეალურად შეიტანონ ალიანსში. ამ მიზნით ნატო უკვე ათეული წლებია თავდაცვის დაგეგმვის პროცესს (NDPP) მიმართავს. ეს არის ციკლური მექანიზმი, რომელიც დღემდე ძირითადად ექსპერტთა დონეზე მოქმედებს ნატოს ბრიუსელის შტაბბინაში. ამ კონტექსტში, უფრო მეტი პოლიტიკური ყურადღება უნდა მიექცეს თავდაცვის დაგეგმვის პროცესს. აქ უნდა მოხდეს ალიანსში დღევანდელი და სამომავლო ტვირთის განაწილების შესახებ მონაცემთა გენერირება. გერმანიის მთავრობა ნატოში ორპროცენტიანი მიზანზე ფოკუსირებას უნდა შეენიშნა დღევანდელ და უნდა ეცადოს, პასუხისმგებლობის გადანაწილება განისაზღვროს, უპირველეს ყოვლისა, იმ ძალების საფუძველზე, რომლებიც ნატოსთვის იქნა გათვალისწინებული თავდაცვის დაგეგმვის პროცესის ფარგლებში. ამ ფორმულაში ნატოს ოპერაციებისთვის გამოყოფილი შეიარაღებული ძალებიც უნდა იქნეს ჩართული. ეს შედარების პროცესს უფრო რეალისტურსა და გამჭვირვალეს გახდიდა.

ყოველივე ამისგან დამოუკიდებლად, ეჭვს არ იწვევს გერმანიის სამხედრო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი, მაგრამ თანდათანობითი ზრდის აუცილებლობა, თუნდაც გერმანიის

შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის გაუმჯობესებისთვის. როგორც ჩანს, აუცილებელია ბიუჯეტის მე-14 მუხლის მაჩვენებლის მშპ-ის სულ მცირე 1,5 პროცენტამდე გაზრდა. ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს მომავალი უსაფრთხოების გარემოს უფრო ზუსტი ანალიზი, რომელსაც დართული ექნება არგუმენტები ხარჯების გაზრდის შესახებ – ანალიზი, რომელმაც უფრო კონკრეტული დასაბუთება უნდა უზრუნველყოს, ვიდრე, მაგალითად, ძველი, 2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია და გერმანიის მთავრობის 2016 წლის „თეთრი წიგნი“ უზრუნველყოდა.

ტრანსატლანტიკურ ალიანსში ტვირთის განაწილების ერთ-ერთი განსაკუთრებით დელიკატური საკითხია ბირთვული იარაღის შეკავება და მისი ევროპულ მოკავშირეთა შორის განაწილება. ის, რასაც რამდენიმე წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, კვლავ გაჩნდა ნატოს პოლიტიკურ პროგრამაში: დისკუსია ბირთვული იარაღის შესახებ.⁸

6. ბირთვული იარაღის შეკავება

ყურადღებოანი დამკვირვებლისთვის ეს დისკუსია გასაკვირი არ იქნება. იგი ალიანსში უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. ნებისმიერ შემთხვევაში ის, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს მოძველებული ატომური ბომბების – B61-ის – და მათი ტრანსპორტირებისთვის საჭირო საავიაციო პლატფორმების მოდერნიზაციას ბირთვული იარაღის ერთობლივი გამოყენების შესახებ შეთანხმებების ფარგლებში, რომელთა მონაწილე მხარეები არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ბელგია, გერმანია, იტალია, ნიდერლანდი და თურქეთი. 2014 წელს რუსეთის პრეზიდენტმა მეორე პლანზე გადატანილი ეს დებატები ისევ განაახლა, ყირიმის ანექსიის კონტექსტში. მან რუსეთის ბირთვული არსენალი კვლავ განხილვის თემად

აქცია და მისთვის ჩვეული, იარაღით მუქარის შემცველი რიტორიკით შეაქო ნატოს ის ნევრები, რომლებიც უკვე კარგა ხანია ტექნოლოგიურ გადაიარაღებაზე უფრო მეტს მოითხოვენ. ამავდროულად, საფრთხე შეექმნა 1987 წლის საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შესახებ ხელშეკრულებას (INF Treaty) ევროპაში მოკლე და საშუალო დისტანციის სისტემების განადგურების თაობაზე. ეს ხელშეკრულება, სტრატეგიული თავდასხმის შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულებებთან (START Treaties) ერთად, საფუძვლად უდევს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ბირთვული შეიარაღების კონტროლს. ეს ის შემაშფოთებელი მოვლენებია, რომელთა მიმართაც გერმანიის მთავრობამ თავისი პოზიცია უნდა დაიკავოს.

ქვემოთმოცემულ ტექსტში არ ფიგურირებს ბირთვული შეიარაღების ნორმატიული ასპექტები, რომლებზედაც უკვე ბევრი დაინერა. ნაცვლად ამისა, სტატია კონცენტრირდება პოლიტიკურ-სტრატეგიულ განზომილებასა და არგუმენტაციაზე.

ნატოს „ბირთვული ალიანსის“⁹ რაციონალური პოლიტიკურ-სტრატეგიული საფუძველი

სანამ ევროპულ გარემოში ბირთვული იარაღი არსებობს, ევროპა დამოკიდებული იქნება „გაფართოებული შეკავების“ პოზიციაზე, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული პოტენციალი უზრუნველყოფს. ცივი ომის დროს ევროპული და, განსაკუთრებით, გერმანული სტრატეგიის შესახებ დებატებში, ზოგადად აღიარებული ძირითადი პრინციპის თანახმად, ბირთვული იარაღი მხოლოდ პოლიტიკური მექანიზმი იყო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა განხილულიყო ტაქტიკურ საბაზისო იარაღად. ამით ხაზი ესმებოდა შეკავების პოლიტიკურ ფუნქციას. ეს მიდგომა უნდა შენარჩუნდეს ყველა სტრატეგიაში, ოპერატიულ და ტექნიკურ მოსაზრებებში. პოლიტიკოსები, აგრეთვე ბირთვული იარაღის

8 Nukleare Abschreckung. Die NATO plant für den Ernstfall, <http://www.tagesschau.de/ausland/nato-russland-atompolitik-101.html> (called up on 11 January 2018; Süddeutsche Zeitung no. 201, 2017 წლის 1 სექტემბერი, გვ.9, Riskante Rolle rückwärts.

9 . ნატოს სტრატეგიული კონცეფცია, ნატოს სამიტი, ლისაბონი 2010, no. 17

ექსპერტები, რა თქმა უნდა, არ გამოორიცხავენ, რომ შეკავების პოლიტიკამ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს კრახი განიცადოს და ევროპაში ბირთვული იარაღი იქნეს გამოყენებული. სულ რამდენიმე ბირთვული ქობინის აფეთქებამ შესაძლოა უამრავი მსხვერპლი გამოიწვიოს და ევროპის ტერიტორიის დიდი ნაწილი სიცოცხლისთვის გამოუსადეგარი გახადოს. ეს წარმოუდგენელი მასშტაბის ჰუმანიტარული კატასტროფა იქნება.

ეს დილემა, რომელიც საფუძვლად უდევს ბირთვული შეკავების სტრატეგიას, ვერ გადაიჭრება და არც არავინ უნდა ეცადოს, ვინმე დაარწმუნოს, რომ მას ეს შეუძლია. ბირთვული იარაღი არ უნდა იქნეს შექმნილი ან გათვალისწინებული ომის წარმოების იარაღად; მან ხელი უნდა შეუწყოს მისი გამოყენების შეკავებას, რაც პოლიტიკურ-სტრატეგიული ხასიათის მიზანს წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეგრეთ წოდებული ბირთვული ზღურბლის მაღალი დონე და უნდა შენარჩუნდეს დრამატული ხარისხობრივი ნახტომი ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებიდან ბირთვული განადგურების შესაძლებლობამდე. თუმცა, ბირთვული იარაღის მოდერნიზაციის ზოგადი ტენდენციის შესაბამისად, იგი უფრო ზუსტი უნდა გახდეს, მოქნილობისა და აფეთქების სიმძლავრის ძალიან დაბალ დონეებზე რეგულირების ჩათვლით, რამაც შეიძლება ბირთვული ზღურბლის შემცირება გამოიწვიოს. დღეისათვის მიმდინარე დებატების გარკვეული მიმართულებები ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ევროპაში არსებული ქვესტრატეგიული დანიშნულების ბირთვული არსენალი შესაძლებელია შევადაროთ, რიცხობრივი მონაცემების თვალსაზრისით, მაგალითად, ტანკებისა და საბრძოლო თვითმფრინავების სიმძლავრის კოეფიციენტს. წონასწორობის შესახებ ასეთი მექანიკური წარმოდგენა დასაშვებია არ არის, რადგან არასდროს არ უნდა იქნეს განხილული რაიმე ვარიანტი ოპერატიული ომის წარმოებისა ბირთვული იარაღით, სადაც ბირთვული იარაღი ბრძოლის ველზე იქნება გამოყენებული. გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია ბირთვული იარაღის კატეგორიათა როლი და ფუნქცია შეკავების საერთო სტრატეგიის

ფარგლებში.

ცივიომის დასრულების შემდეგ ნატომ ევროპაში თავისი ბირთვული იარაღი დაახლოებით 90 პროცენტით შეამცირა, კერძოდ, რამდენიმე ასეული ქობინი დატოვა, ხოლო რუსეთს კვლავ აქვს 2000-მდე ბირთვული ქობინი მოკლე დისტანციის სისტემებისთვის. ნებისმიერმა, ვინც დარჩენილი მცირე რაოდენობის ამერიკული ბირთვული იარაღის ევროპიდან გატანას მოთხოვს, თვალი არ უნდა დახუჭოს იმ უზარმაზარ ბირთვულ პოტენციალზე, რომელიც რუსეთს აქვს ევროპაში. რუსეთის სამხედრო დოქტრინაში მასობრივი განადგურების ამ იარაღს, ნატოს ფაქტორის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რუსეთი კი კვლავ არ არის დაინტერესებული ამ სფეროში შეიარაღების კონტროლის საკითხზე მოლაპარაკებებით. გარდა ამისა, არაგონივრული იქნებოდა ალიანსში ნატოსა და გერმანიის პოზიციისთვის შესაძლო კატასტროფული შედეგების იგნორირება, თუ გერმანია ამერიკელებს მათი იარაღის გერმანიის ტერიტორიიდან გატანას მოსთხოვდა. ამასთანავე, გერმანიამ შეიძლება ალიანსში დაკარგოს ზეგავლენა ბირთვულ დაგეგმვაზე, რაც შემდეგ გერმანიის გარეშე მოხდება. სავარაუდოდ, ამის კომპენსირებას აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოები მათ ტერიტორიებზე ბირთვული იარაღის განლაგების მოთხოვნით შეეცდებიან, რაც ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა სერიოზულ ესკალაციას გამოიწვევს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს, გერმანიის ინტერესებში ვერ იქნება.

ბირთვული შეკავების საიმედოობა

უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული გაანგარიშებები, რომლებიც სტრატეგიული ბირთვული იარაღის ევროპაში და ევროპისთვის განლაგების მიზნით კეთდება და ბირთვული იარაღის ერთობლივი გამოყენების შესახებ ნატოს წევრი ქვეყნების შეთანხმებებთან არის დაკავშირებული, მხოლოდ ექსპერტთა ჯგუფებში, დახურულ კარსმიღმა განიხილება. ამ ყველაფრის ცენტრში დგას ბირთვული შეკავების

საიმედოობის საკითხი. ამ კონტექსტში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოსაზრება ის არის, რომ შეკავების საიმედოობის შეფასებისთვის საჭიროა მონაცემები ბირთვული არჩევანის სრული სპექტრის შესახებ. ამ მოსაზრების შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ევროპისთვის უზრუნველყოფილი გაფართოებული ბირთვული ქოლგა ნაკლებად საიმედო იქნება, თუ იგი მხოლოდ ამერიკული საკონტინენტთაშორისო იარაღის სისტემებით იქნება წარმოდგენილი. ევროპაში განლაგებული აშშ-ის ბირთვული იარაღით შეკავების პოლიტიკა შეიძლება საიმედო იყოს, თუ იგი ევროპელ მოკავშირეთა ხელში იქნება. ეს არგუმენტი ეფუძნება იმ ვარაუდს (რომელზედაც, ჩვეულებრივ, არ საუბრობენ), რომ აშშ, თუ შესაძლებელი იქნება, ეცდება, რომ ნატოსა და რუსეთს შორის ბირთვული ესკალაცია ევროპის ტერიტორიით შეზღუდოს, ხოლო თავისი ტერიტორია შემოინახოს, რადგან ეს მის ეროვნულ ინტერესში შედის. ამ ვარაუდს საფუძვლად უდევს კლაუზევიცის ძველი სიბრძნე, რომელიც მას ალიანსების („Schutz- und Trutzbündnisse“) შესახებ მოსაზრებებში აქვს გამოხატული: „ვერასოდეს ვნახავთ, რომ სახელმწიფოს, რომელიც სხვისი საქმის გადასაწყვეტად მოქმედებს, ისეთივე სერიოზულად მიაჩნდეს იგი, როგორადაც თავისი მიაჩნია“. ცივი ომის დროს ნატოს გამიზნული ესკალაციის სტრატეგიის (რომელიც „მოქნილი რეაგირების“ სახელწოდებით იყო ცნობილი) მხარდამჭერები ამტკიცებდნენ, რომ ნატოს შეკავების სპექტრში ასეთი „ევროსტრატეგიული“ იარაღის არსებობა აშშ-ის ევროპასთან სტრატეგიულ დაწყვილებას გამოიწვევდა. ამ სტრატეგიის კრიტიკოსებს საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონდათ – მათ ეს იარაღი, პირიქით, „კავშირის შესუსტების“ გამომწვევად მიაჩნდათ, რადგან იგი ვაშინგტონსა და მოსკოვს საშუალებას აძლევდა, თავიანთი ტერიტორიები ევროპაში ბირთვული ესკალაციისგან დაეცვათ. ეს საკითხი აშშ-სა და ნატოს წევრ ევროპულ სახელმწიფოებს შორის ბირთვული რისკების განაწილების კონტექსტშიც განიხილებოდა.

ყველა ეს გაანგარიშება საბოლოოდ ეფუძნება ვარაუდებსა და სარწმუნო მოსაზრებებს, ხოლო საბოლოო ჯამში – წარმოდგენათა

სისტემებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი გადაწყვეტილებებია მოსალოდნელი ბირთვული სახელმწიფოებისგან ევროპაში სერიოზული კრიზისის ან ომის შემთხვევაში. ეს იმიტომ ხდება, რომ რეალურად არავინ იცის – და ამიტომ შეუძლიათ მხოლოდ ივარაუდონ – როგორ წარიმართება ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესი და როგორი იქნება მისი შედეგები. სტრატეგიული გათვლები და ასეთი ტიპის დილემები ნატოს სტრატეგიების შესახებ მიმდინარე დებატებიდან ცივი ომის დასრულების შემდეგ გაქრა. ეს გერმანიისა და ევროპისთვის საგულისხმო შემსუბუქება იყო, რადგან დილემა, რომელიც არსებობდა ბირთვული შეკავების ლოგიკასა და ბირთვული ომის თეატრად ქცევის ფატალურ პერსპექტივას შორის, რაც შეკავების პოლიტიკის კრახის შემთხვევაში გარდაუვალი იქნებოდა, როგორც ჩანს, გაუქმდა.

ახალი დებატები ნატოში ბირთვული იარაღის შესახებ

უკვე რამდენიმე წელია, რაც ამერიკის შეერთებული შტატები ეჭვს გამოთქვამს, რომ რუსეთი ბირთვული მასალების ტრანსპორტირების სხვადასხვა საშუალების გამოყენებით არღვევს საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შესახებ ხელშეკრულებას. დღეისათვის ვაშინგტონი დარწმუნებულია, რომ ფრთოსანი რაკეტები „SSC-8“, რომლებიც რუსეთმა შეიმუშავა და განალაგა, აშკარად არღვევს ორმხრივ შეთანხმებებს, რომლებიც მიღწეულ იქნა 1987 წლის საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შესახებ ხელშეკრულებით, განიარაღების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით აკრძალულია სახმელეთო ბირთვული ფრთოსანი რაკეტების განვითარება, აგრეთვე მოკლე და საშუალო სიშორის რაკეტების განვითარება, რომელთა მოქმედების რადიუსი 500-დან 5500 კმ-მდეა. რუსეთი უარყოფს ამ ხელშეკრულების დარღვევას და მის დარღვევაში აშშ-ს ადანაშაულებს, კერძოდ, მიუთითებს პოლონეთსა და რუმინეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგებაზე, რომლებიც, რუსეთის აზრით,

შესაძლებელია საშუალო სიშორის იარაღადაც იქნეს გამოყენებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსეთის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების დარღვევაზე რეაგირების საკითხს განიხილავენ. ამჟამად თანამედროვე საშუალო სიშორის იარაღის ევროპაში გადანაწილების საკითხი განიხილება. გერმანიაში ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების სანინალმდე-გო მასობრივი დემონსტრაციებიდან 30 წლის შემდეგ, ამან შეიძლება მასშტაბური შიდაპოლიტიკური ბრძოლა გამოიწვიოს – „პანდორას ყუთი“ გახსნას, რაც სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენებს ფედერალური მთავრობის სტრუქტურებსა და პარლამენტს, აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებს, რადგან მათ მოუწევთ ასეთი გადაიარაღების საკითხის განხილვა. გერმანიამ დროულად და მკაფიოდ უნდა გამოხატოს ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია ნატოშიც და აშშ-ის წინაშეც, უმჯობესია, საფრანგეთსა და სხვა ევროპელ პარტნიორებთან ერთად.

საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შესახებ ხელშეკრულების შესაძლო დარღვევა არ ცვლის სტრატეგიულ ბირთვულ თანასწორობას ევროპაში და ევროპისთვის

ამ დებატებში სტრატეგიული სიმშვიდე ნატოსთვის ხელსაყრელია, რადგან ევროპაში „გაფართოებულ შეკავებაზე“, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ითვალისწინებს, რამდენიმე რუსული ფრთოსანი რაკეტის შესაძლო განლაგება უარყოფითად ვერ იმოქმედებს. ამერიკული ვარიანტების დიაპაზონი მოიცავს, მაგალითად, საშუალო სიშორის საზღვაო ფრთოსან რაკეტებს, რომლებიც საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის. ევროპაში გაფართოებული შეკავების მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკური ნება ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს. ნატოს ჩვეულებრივი შეიარაღების პოტენციალი, რომელსაც კვლავ სჭირდება გაძლიერება აშშ-ის არსებულ სტრატეგიულ და ქვესტრატეგიულ ბირთვულ პოტენციალთან

ერთად, უდიდეს საფრთხეს უქმნის ნებისმიერ პოტენციურ აგრესორს, რომელიც ევროპაზე თავდასხმას განახორციელებს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცივი ომის დილემას საშუალება არ უნდა მიეცეს, ახალი ფორმით უკანა კარიდან დაბრუნდეს. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ორმხრივი გამჭვირვალობა და რაციონალური შეთანხმებები უნდა უზრუნველყოფდეს ბირთვული იარაღის პოლიტიკურ „ცხრა-კლიტულში“ წარმატებით შენახვას ორივე მხრიდან, რადგან განიარაღების შესახებ შეთანხმებების მეშვეობით, მისი განადგურება შესაძლებელი არ არის. ამასთან დაკავშირებით გერმანიის მთავრობამ ალიანსში მკაფიო და არაორაზროვანი პოზიცია უნდა გამოხატოს და ალიანსის სხვა პარტნიორებთან ერთად უნდა უზრუნველყოს ევროპაში პოლიტიკური და სამხედრო სტაბილურობის შენარჩუნება ბირთვული შეიარაღების გაძლიერების გარეშე. მანთავიარუნდააარიდოსამსაკითხებზესაჯარო დებატებსაც. ამავდროულად, ნატომ არ უნდა მოახდინოს რუსეთის მიერ საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შესახებ ხელშეკრულების შესაძლო დარღვევის იგნორირება და ეს საკითხი გადამწყვეტი გზით უნდა მოაგვაროს. ამისთვის აუცილებელია ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური რესურსის ამოქმედება, რათა კონტროლი მთლიანად ბირთვულ შეიარაღებაზე შენარჩუნდეს. თუმცა, გარდა ამისა, ევროპაში საშუალო სიშორის ახალი სახმელეთო ბირთვული იარაღის გადანაწილება ვარიანტად დაშვებული არ უნდა იქნეს, თუნდაც უკიდურეს შემთხვევაში. ვაშინგტონმა ასევე უნდა გაიაზროს, რომ ნატოს ახალი ბირთვული იარაღის ევროპაში განლაგებამ შეიძლება ალიანსში განხეთქილება გამოიწვიოს.

მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წევრი ევროპული სახელმწიფოები აღნიშნული ხელშეკრულების მხარეები არ არიან, გერმანიის მთავრობას, საფრანგეთსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ერთად, შეუძლიათ გამოიყენონ ნატოს დეკლარაციები და რუსეთს განმარტებისკენ, გამჭვირვალობისა და კონტროლისკენ მოუწოდონ. ამ ინიციატივაში, ასევე უნდა გათვალისწინონ რუსეთის შესაძლო შემოფოთება, აზიაში საშუალო სიშორის იარაღსა

და ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ეს საკითხი ეხება არა მხოლოდ საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შესახებ ხელშეკრულებას, არამედ მთლიანად ბირთვულ იარაღზე კონტროლის შენარჩუნებას. ევროპელებმა ამ ხელშეკრულების მხარეებს და, კერძოდ, თავიანთ მოკავშირეს, აშშ-ს, ნათლად უნდა გააგებინონ, რომ ისინი სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული აღნიშნული ხელშეკრულების შენარჩუნებით.

7. ახალი ტექნოლოგიებისგან წარმოშობილი გამოწვევები

ამ ყველა გამოწვევაზე მაღლა კიდევ ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოწვევა დგას: სამხედრო ტექნოლოგიების განვითარების სწრაფი ტემპი. 2016 წლის ივლისში ვარშავის სამიტზე გამოქვეყნებული კომუნიკეს ბოლოში, რომელიც ყველაზე ბოლოს გამოქვეყნდა (2017 წლის მაისში ბრიუსელში გამართულ ლიდერთა შეხვედრაზე რაიმე ოფიციალური ბიულეტენი არ გამოქვეყნებულა), ალიანსმა დაადასტურა, რომ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“ „ინოვაციების წახალისება, რათა განისაზღვროს პროგრესული ახალი ტექნოლოგიები, შეფასდეს სამხედრო სფეროში მათი გამოყენების პოტენციალი და ამოქმედდეს ისინი ინოვაციური გადამწყვეტილებების მეშვეობით“, „იმგვარად, რომ ალიანსმა შეძლოს თავისი ტექნოლოგიური თამაშის შენარჩუნება“. დიპლომატიური ჟარგონის ეს ვერბალური სიმახინჯე მიუთითებს ალიანსის წინაშე მდგარ გამოწვევაზე, რომელსაც იგი ვირტუალურად რაიმე ეფექტიანი გზით ვერ დაძლევის, რადგან საკითხს არასწორი მხრიდან უდგებიან. საკითხი ეხება გამოწვევებს, რომლებსაც ძალიან სწრაფად განვითარებადი ციფრული საზოგადოება ქმნის.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი პროგრესი, რომელიც, ჩვეულებრივ, არასამხედრო, კერძო ბიზნესის სამყაროში იწყება და ვითარდება – ხშირად ეროვნებათაშორის ან მრავალეროვნულ კონტექსტში – პოტენციურად

„მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ნატოს სამხედრო დაგეგმვასა და ოპერაციებზე“. ეს უკვე აღნიშნულია ალიანსის დღეისათვის მოქმედი 2010 წლის სტრატეგიული კონცეფციის მე-14 პუნქტში. ბიზნესის სამყაროში ინოვაციათა ციკლები კიდევ უფრო ხანმოკლე ხდება. ეს არ არის ინოვაციის ხელშეწყობა, რომელიც „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“ და „ნატოს ამოცანაა“. ეს უფრო არის ინოვაციის ფორმირება იმგვარად, რომ იგი თავსებადი იყოს ალიანსის ფარგლებში, ანუ, 29 ქვეყნისთვის, რომლებსაც მეტად განსხვავებული პოლიტიკური და ტექნოლოგიური ამბიციები და შესაძლებლობები აქვთ, მაგრამ მუდამ ახორციელებენ გადამწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პროცესს, რომელიც გარკვეულ პერიოდს მოითხოვს.

ამ კუთხით, ალიანსს, არც შვიდი წლის შემდეგ მიუღწევია დიდი პროგრესისთვის. 2010 წელს, გენერალურმა მდივანმა ნატოს საერთაშორისო აპარატთან პირველად შექმნა „უსაფრთხოების სფეროში წარმოშობილი გამოწვევების“ დებარტამენტი, მაგრამ მისი ამოცანები საკითხთა მხოლოდ შეზღუდულ სპექტრს ეხება. იგი, რა თქმა უნდა, სრულყოფილად ვერ მოიცავს ყველა გამოწვევას, რომლებიც უსაფრთხოების სფეროში წარმოიშობა. იგი განსაკუთრებით არ ეხება იმ საკითხს, თუ, სავარაუდოდ, რა მიმართულებით განვითარდება ტექნოლოგიური ტენდენციები მომდევნო ათი წლის განმავლობაში. ეს მთავარი სამეცნიერო სააგენტოს, ანუ, იმ სამსახურის ამოცანაა, რომელიც ტექნოლოგიების ანალიზისთვის უკეთ არის მომზადებული. მიუხედავად ამისა, კიბერსივრცეში უსაფრთხოების გარანტირებისთვის ალიანსმა უკვე მიიღო ერთობლივი პოლიტიკური სტრატეგია, რომელიც ამ სივრცეს, მიწასთან, წყალთან, ჰაერსა და კოსმოსურ სივრცესთან ერთად, აღიარებს მესხეთე სამხედრო განზომილებად, რომელშიც ალიანსი მოქმედებს. რა ფორმით შეუძლია ალიანსს ზომების მიღება, ან რა ფორმით უნდა მიიღოს მან ისინი, კვლავ წევრ ქვეყნებზე დამოკიდებული.

თუმცა რეალურად არ არის განხილული, რა ზემოქმედებას ახდენს ახალი ტექნოლოგიური მიღწევები პოლიტიკურ პროცესებზე ალიანსის

შიგნით და ნევრ სახელმწიფოებს შორის, ან სამხედრო ხელმძღვანელობის მოქმედებასა და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე. ალიანსის პოლიტიკურ და სტრატეგიულ ხელმძღვანელობას კვლავ არა აქვს ორიენტაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაუმკლავდეს ალიანსის ფარგლებში რევოლუციური ხასიათის საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრესს. ხელოვნური ინტელექტის, ავტონომიური სისტემების და ადამიანისა და მანქანის ურთიერთკავშირის განვითარება არ ნიშნავს მხოლოდ ტექნოლოგიების გაუგონარ პროგრესს, რომლისთვისაც მრავალი ნიჭიერი ადამიანი მსოფლიოს მრავალ კუთხეში გამაღებით მუშაობს. ეს განვითარება ყოველგვარ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სტრატეგიულ და ეთნიკურ გამოწვევაზე მაღლა დგას, რადგან იგი რევოლუციურს ხდის იმ ფორმას, რომლითაც სამხედრო დაგეგმვის სპეციალისტები და ოპერატორები მუშაობენ. ის არის გამოწვევა ნატოსა და ევროკავშირთან საერთაშორისო თანამშრომლობისთვისაც, აგრეთვე იმ გზისთვის, რომლითაც პოლიტიკური პასუხისმგებლობის მქონე თანამდებობის პირები მოქმედებენ, და კონტროლისა და დაბალანსების სისტემისთვის, რომლებსაც ნევრ სახელმწიფოებში პარლამენტები ახორციელებენ.¹⁰

აქედან გამომდინარე, ეს ვერ იქნება ალიანსი, რომლის უპირატესი ამოცანაა „ინოვაციების წახალისება“. ეს უფრო მოკავშირეების ამოცანაა, რომლებიც ერთმანეთის წინაშე იღებენ მისი შესრულების ვალდებულებას. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ქვეყნები ახდენენ განვითარების წახალისებასა და ხელშეწყობას და ისინი ამას სხვადასხვა გზით და სხვადასხვა მიზნით აკეთებენ. ინოვაციების წახალისება, მათი სამხედრო მიზნით გამოყენების ჩათვლით, ასევე მუდამ ხელს უწყობს ეროვნული მრეწველობის განვითარებას. ნატოს ნევრი იმ ქვეყნების კომპანიები, რომლებსაც მაღალგანვითარებული ტექნოლოგიები აქვთ,

ან ერთმანეთის კონკურენტები არიან, ან ერთმანეთთან თანამშრომლობენ გლობალურ დონეზე, იმისგან დამოუკიდებლად, მათი ქვეყანა ნატოს ნევრი არის თუ არა. ეროვნული კანონმდებლობა ზოგჯერ ზღუდავს მათი მოქმედების თავისუფლებას, ზოგჯერ კი მათ პრივილეგიებს ანიჭებს. აქ ნატო არანაირ როლს არ ასრულებს. იგი ქვეყნების მექანიზმია და ეს არ უნდა დაგვაკინწყდეს.

ამრიგად, ყველაფერი პირიქით არის. მოკავშირეები უნდა შეთანხმდნენ შემდეგზე: როგორ შეუძლია თითოეულ მათგანს – საკუთარი თავისთვის მოქმედებით, აგრეთვე დემოკრატიული ქვეყნების სამხედრო და უსაფრთხოების პოლიტიკის ალიანსის ფარგლებში ერთობლივი მოქმედებით – უზრუნველყოს, რომ ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა მათი დაშლა არ გამოიწვიოს. ეს ახალი პრობლემა არ არის, მაგრამ განვითარების ტემპმა და მასშტაბმა მიაღწია თვისებრივად ახალ საფეხურს, რომელსაც ქვეყნები ძნელად აკონტროლებენ და რომლისთვისაც დამახასიათებელია ადამიანის შეცდომის წყაროდ და არა პროცესის მაკონტროლებელ სუბიექტად აღიარება. ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადამიანის პასუხისმგებლობის ფაქტორს. ეს მხოლოდ ჰიპოთეზური მონახაზი არ არის. იგი პირდაპირ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ქვეყნების წინაშე დგას ისეთი ამოცანები, როგორიცაა: სამხედრო-კვლევითი პროგრამების დაწყება, შეიარაღების სისტემების შესყიდვისთვის მოთხოვნების განსაზღვრა, შესყიდვის პროექტების პარლამენტისთვის წარდგენა და პარლამენტის მიერ მათი დამტკიცება. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვას: როგორ შეიძლება ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მრავალმხრივი გამოწვევების დაძლევა სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე – როგორც ნევრ ქვეყნებში, ისე ალიანსში. პასუხის მოსაძებნად აქ ჩართული უნდა იქნენ არასამხედრო ტექნოლოგიური სექტორის სუბიექტები, პოლიტიკური და სამხედრო სფეროს კლასიკურ წარმომადგენლებთან ერთად.

10 ამ თემაზე იხ. აგრეთვე: Neue digitale Militärtechnologien und autonome Waffensysteme – Die Zukunft der Kriegsführung. Arbeitskreis Internationale Sicherheitspolitik der Friedrich-Ebert-Stiftung, ბერლინი, 2015 წლის აგვისტო, <http://library.fes.de/pdf-files/id/ipa/11622.pdf> (ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 7 დეკემბერს) 2017).

საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, განსაკუთრებით ალიანსის სამხედრო ძალების მოქმედებისას, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საერთაშორისო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური დებულებები. სწორედ აქ ამოქმედდება ალიანსის პასუხისმგებლობის ეთიკა. ნევრ სახელმწიფოთა მოვალეობა მისი ერთობლივი უზრუნველყოფაა.

ასევე აუცილებელია, რომ ალიანსში სამხედრო მისიების შესახებ გადაწყვეტილებები – როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დონეზე – მომავალშიც გააზრებულად იქნეს მიღებული და განხორციელებული. ეს აღქმული უნდა იქნეს ამ სიტყვის ყველაზე მკაცრი მნიშვნელობით – მაშინაც კი, როდესაც შეიარაღების ავტონომიური სისტემები ან ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იმგვარად გამოიყურებოდეს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამარტივებისა და ეფექტიანობის სწრაფად გაზრდის იმედს იძლეოდეს. ნევრ სახელმწიფოთა არჩეულ და დანიშნულ წარმომადგენლებს უნდა შეეძლოთ, შეინარჩუნონ მათი შეუზღუდავი სუვერენიტეტი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შემდეგი საკითხის გადაწყვეტისას: რომელი მისია განახორციელონ ერთობლივად, რომელი სამხედრო რესურსებით და რა მიზნით. „ახალ ტექნოლოგიებთან“ მუშაობის ეს მიმართულება ალიანსის ინსტიტუტებისა და პროცესების მიერაც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

8. ევროპის როლი

ნატოში „ევროპელთა როლის“ თაობაზე უფრო კონკრეტული დებატები უნდა გაიმართოს, რათა უფრო ნათელი გახდეს ალიანსის მომავალი. ეს ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული სამ საკითხთან:

პირველი: ვინ არიან „ევროპელები“ ამ კონტექსტში? ევროკავშირი იგულისხმება თუ ევროპის ქვეყნები – და თუ ევროპის ქვეყნები იგულისხმება, კონკრეტულად რომელი ქვეყნები, ისინი ევროკავშირის ნევრი თუ არანევრები? ევროპული ქვეყნების ოჯახი უფრო

ფართოა, ვიდრე ევროკავშირი. ევროკავშირის ფარგლებში მის ნევრ სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის (CSDP) შემუშავება, როლების განაწილება და ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის კომპეტენციების გადანაწილება ჯერ არ დასრულებულა, თუნდაც ევროკავშირის ნევრმა 25-მა სახელმწიფომ დღესვე განაცხადოს, რომ მათ სურთ უსაფრთხოებისა და თავდაცვის კავშირის შექმნა. ა ის პროექტები, რომლებზეც შეთანხმდნენ უნდა განხორციელდეს, ამასთანავე ევროკავშირის ნევრ დიდ სახელმწიფოებს, განსხვავებული მიზნები და ამოცანები ექნებათ, ერთნაირი პირობების გამოყენების შემთხვევაშიც კი.

მეორე: რა როლი უნდა შეასრულოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროპაში მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, ჩინეთით გამონვეული მზარდი გამონვევის გათვალისწინებით, გადამწყვეტ მოთამაშედ აზია განსაზღვრა, და იმ ფონზე, როდესაც რუსეთი თავისი სამხედრო ძლიერების დემონსტრირებას ნატოს აღმოსავლეთ საზღვარზე ახდენს? ევროპის ქვეყნები, ვერც ამაზე ვერ თანხმდებიან.

მესამე: რამდენად შეძლებენ ან სურთ ევროპელებს, დაეყრდნონ ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც თავიანთ მოკავშირეს, მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპმა პრეზიდენტად არჩევის შემდგომ წამოაყენა ლოზუნგი „ამერიკა, უპირველეს ყოვლისა“? 2017 წლის იანვარში პრეზიდენტის პოსტზე ოფიციალურად დამტკიცების შემდეგ მან აჩვენა, რომ ცოტა რამ იცის როგორც ალიანსის მუშაობის, ისე უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის შესახებ.

ოფიციალური დოკუმენტები ნათელი და არსებითი ხასიათისაა: „ჩვენ კვლავ ერთგული ვართ შეთანხმებული საერთაშორისო სტრატეგიისა (უსაფრთხოების პოლიტიკისთვის: ავტორის შენიშვნა), კერძოდ, ნატოსა და ევროკავშირს შორის“, – მითითებულია 2016 წლის ივლისში ვარშავის სამიტზე მიღებულ კომუნიკეში, მაგრამ ეს იყო ტრამპის გაპრეზიდენტებამდე. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ფედერიკა

მოგერინიმ, 2017 წლის იანვარში განაცხადა, რომ ევროკავშირის უსაფრთხოების გაუმჯობესება მხოლოდ „საგარეო ურთიერთობების სფეროში განხორციელებული ღონისძიებებით და ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი“. 2017 წლის სექტემბერში ევროკომისიის პრეზიდენტიმა ჟან კლოდ იუნკერმა ევროპარლამენტის წინაშე ევროკავშირში არსებული მდგომარეობის შესახებ გამოსვლისას აღნიშნა, რომ დაგეგმილი „ევროპული თავდაცვის კავშირი“ ცალსახად ნატოს სურვილი იყო. მაგრამ ერთია რაღაცის მტკიცება და სურვილი, რომლებიც უბრალოდ ზედაპირზე კარგად ჩანს, და მეორეა მათი პრაქტიკაში დანერგვა, რაც უდავოდ რთული საქმეა. ტერმინები და მათი მნიშვნელობების განსაზღვრა სასწრაფოდ უნდა დადგეს დღის წესრიგში.

უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკა და მთლიანად ევროკავშირი, ამ საკითხთან დაკავშირებით, თავიანთი განვითარების კრიტიკულ ფაზაში არიან. მხოლოდ ამ გზაგასაყარზე, 2009 წლის ბოლოს ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან რვა წლის შემდეგ, გადადგა ევროკავშირმა პირველი ნაბიჯები „მუდმივი სტრუქტურირებული თანამშრომლობის“ (PESCO) შექმნისკენ, რომელმაც გზა უნდა გაუკვალოს თავდაცვის პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობას, ყველაზე მეტი სამხედრო შესაძლებლობის მქონე წევრ სახელმწიფოთა შორის – მიუხედავად იმისა, ენდომება თუ არა ევროკავშირის წევრ ყველა სახელმწიფოს მასში მონაწილეობა. ასეთი შესაძლებლობების მქონე არცერთ ქვეყანას არ სურდა ამის გაკეთება დიდი ხნის განმავლობაში, გერმანიის ჩათვლით. ეს კარი მხოლოდ ახლა გაიხსნა – გაერთიანებულ სამეფოში ევროკავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ.

„უსაფრთხოების კავშირთან“ დაკავშირებული საკითხები – ძირითადად შიდა და სამართლებრივი პოლიტიკა, რომლებზედაც ევროკომისიაა პასუხისმგებელი – ხელშეკრულებით კვლავ გამოყოფილია სავარაუდო „თავდაცვის კავშირისგან“, რომელზედაც

საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები აგებენ პასუხს. საბოლოოდ, ეს ყველაფერი იმ ფაქტს უკავშირდება, რომ წევრ ქვეყნებს, ზოგადად, არ სურთ, ევროკავშირს გადასცენ თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებლობა და მათზე სრული კონტროლის შენარჩუნებას ამჯობინებენ, ისევე, როგორც ეს ნატოს შემთხვევაში ხდება. ამავდროულად, ექსპერტებმა შექმნეს მზარდი სამართლებრივი ბაზა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ღონისძიებათა ჩათვლით, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპული სასამართლო, კანონის უზენაესობის პრინციპების ფონზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის საკითხებზედაც ზრუნავს, რომლებიც ევროკავშირის ღონისძიებებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ნატოსგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამ საქმეში ერთადერთი მოქმედი პირები არ არიან. ევროკავშირის ინსტიტუტებს „საგარეო ურთიერთობებთან“ დაკავშირებულ საკითხებში, უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროს ჩათვლით, თავიანთი კომპეტენციები აქვთ. გრძელვადიან პერსპექტივაში, შეიძლება ძალაუფლებამ ევროკავშირის ზეეროვნული ინსტიტუტებისკენ წაინაცვლოს. ამ საკითხზე ევროკომისია და ევროპარლამენტი მუშაობენ. ასეთ განვითარებას მრავალი ქვეყანა ეწინააღმდეგება, მათ შორის, გერმანია და საფრანგეთი. თუმცა ამჟამად ნათელი არ არის, მოხდება ეს თუ არა, და თუ მოხდება – რა ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში, მომავალში ალიანსისთვის მნიშვნელოვანი იქნება, დაინახოს ის როლი, რომელსაც თავდაცვის პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ნატოს წევრები არიან, „ბრიუსელს“, ანუ, ევროკავშირს მიაკუთვნებენ.

ეს, *inter alia*, ნაწილობრივ იმ როლზეა დამოკიდებული, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს ან ვალდებულია შეასრულოს ევროპაში. დონალდ ტრამპი პირველი არ ყოფილა, ვინც ევროპელებს სამხედრო სფეროში მეტი ფულის ხარჯვისა და ევროპის უსაფრთხოებისთვის მეტი პასუხისმგებლობის აღებისკენ მოუწოდებდა. მისი თითქმის ყველა წინამორბედი იმავეს აკეთებდა. ამავდროულად, როგორც მაშინ, დღესაც

უპასუხოდ არის დატოვებული შეკითხვა: რა ნიშნავს „ევროპის უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებლობა“. ევროპელებმა სხვადასხვაგვარი რეაგირება მოახდინეს – მსოფლიოში მათი როლის შესახებ საკუთარი წარმოდგენის და თავიანთი სამხედრო შესაძლებლობების შესაბამისად. მაგალითად, გერმანია ერთმნიშვნელოვნად აპირებს თავისი შეიარაღებული ძალები ნატოს ფარგლებში, საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად, ევროპის თავდაცვის გაძლიერებული შესაძლებლობების ძირითად ელემენტად აქციოს. ეს გათვალისწინებულია გერმანიის მთავრობის 2016 წლის „თეთრი წიგნის“ განხორციელების გეგმებით, რომლებიც გერმანიის თავდაცვის სამინისტროს დაგეგმვის განყოფილებამ მოამზადა. ამ გეგმების შესაბამისად, ბერლინი აპირებს მოახდინოს თავისი ეროვნული შეიარაღებული ძალების დაგეგმვის უფრო მჭიდროდ ინტეგრირება ნატოს შეიარაღებული ძალების დაგეგმვაში, ვიდრე ამას წარსულში აკეთებდა. ამ გზით აპირებს ბერლინი, წამყვანი როლი შეასრულოს თავისი, როგორც „ჩარჩო ქვეყნის“, კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც განსაკუთრებით არის ფოკუსირებული ალიანსის დაცვაზე რუსეთისგან, რომელიც აგრესიული ხდება. მეორე მხრივ, საფრანგეთი, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია ტერორიზმთან ბრძოლის მისიებზე და სტაბილიზაციის მხარდაჭერაზე ჩრდილოეთ აფრიკასა და ფრანკოფონულ სუბსაჰარულ აფრიკაში, რაც, ნატოს ფარგლებში, თანხმობაში მოვა გერმანიის როლთანაც: გერმანიისთვის პრიორიტეტული აღმოსავლეთიდან მოსალოდნელისაფრთხეებია, ხოლო საფრანგეთი პრიორიტეტს სამხრეთიდან მოსალოდნელ საფრთხეებს ანიჭებს და იმედოვნებს, რომ მას ამაში გერმანია მხარს დაუჭერს. ეროვნული თავდაცვის ბოლო, 2017 წლის ოქტომბრის სტრატეგიაში გერმანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპელი პარტნიორი მეორედ ცდილობს ასევე გააძლიეროს „ევროპის სტრატეგიული ავტონომია“. ამ მიზნით, პარიზი პარტნიორებს სთავაზობს „ინტერვენციის ევროპულ ინიციატივას“, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის შეიარაღებული ძალების ურთიერთქმედების განმტკიცებას კრიზისული ინტერვენციის სფეროში. ეს მოხდება „ევროპის აღდგენის“ სქემის ფარგლებში, რომლის

განხორციელებასაც პარიზი აქტიურად ცდილობს და არა ნატოს ფარგლებში. მიუხედავად ამისა, საფრანგეთმა, ალიანსის დაცვაზე, ნატოს ორიენტირებას სრულად დაუჭირა მხარი.

ერთმანეთისგან განსხვავდება ნატოს ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპელი პარტნიორების, არა მხოლოდ უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტები, არამედ მათი პერსპექტივებიც. პრობლემაა ამის თავსებადი ფორმით ორგანიზება – როგორც ნატოს შიგნით, ისე ნატოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ფარგლებში. აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, თუ რა როლის მიკუთვნებას ისურვებენ ევროპელები ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ამ ყველაფერში, ან რა როლს მოითხოვს აშშ თავისთვის. ნატოში იგი წამყვანი სახელმწიფოა და ალიანსში მისი ზეგავლენა, მის ძლიერ სამხედრო პოტენციალს ეფუძნება. ევროკავშირში ეს ამგვარად არ არის. ევროპის სამომავლო უსაფრთხოებისთვის აშშ-ის მიერ შესასრულებელი როლის განხილვისას გადამწყვეტი იქნება, როგორ და რომელ სისტემაში აიღებენ „ევროპელები“ საკუთარ თავზე „პასუხისმგებლობას“. ზესახელმწიფო ზურგს შეაქცევს ევროპას, რათა მეტი ყურადღება აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებს მიაქციოს? ვაშინგტონს ნატო „დრომოჭმულად“, მოძველებულად ან ზედმეტად მიაჩნია? ეთანხმებიან კი ევროპელები კვლავ აშშ-ის პრეტენზიას ლიდერობაზე, მიუხედავად იმისა, რომ საფრთხისა და უსაფრთხოების ინტერესების შესახებ მათი შეხედულებები აშშ-ის ინტერესებს აღარ ემთხვევა? თუ მოკავშირეები ურთიერთქმედების ახალ გზას იპოვნენ? „დასავლეთი“ ჯერ კიდევ არსებობს?

ალიანსისთვის ამერიკის შეერთებული შტატების სანდობასთან დაკავშირებული ეჭვების ფონზე, ეს საკითხი სულ უფრო ფეთქებად ხასიათს იძენს. ნაციონალისტური პოლიტიკა („ამერიკა, უპირველეს ყოვლისა“), განხორციელებული ზესახელმწიფოს მიერ, რომელიც საერთაშორისო შეთანხმებებისა და წესების დაცვისთვის თავს არ ინუხებს და, ნაცვლად ამისა, მათ ეჭვქვეშ აყენებს, ეწინააღმდეგება „ღირებულებათა ერთიანობას“, რომელიც ალიანსის მნიშვნელობის

განმსაზღვრელია. თუმცა ეს საკითხი მხოლოდ აშშ-ს არ ეხება. თურქეთში ავტორიტარული და ნაციონალისტური რეჟიმის მიმართულებით განვითარებული მოვლენები, ან პოლონეთსა თუ უნგრეთში „არალიბერალური დემოკრატიისკენ“ სვლა ეჭვქვეშ აყენებს ალიანსის, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოთა ლიგის, საფუძვლებს. საიმედოობა, ნდობა და ერთმანეთის მიმართ რწმენა ნატოს მომავლისთვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი „დასავლური“, ანუ, ტრანსატლანტიკური და დემოკრატიული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩარჩოდ აღიქმება.

9. დასკვნა

ნატო კრიზისის რეჟიმშია. ალიანსის წინაშე მდგარი გადაუდებელი, ფართომასშტაბური გამოწვევები, რომლებიც მის დღევანდელ კრიზისს განაპირობებს, ნევრი სახელმწიფოებისგან ახალი სტრატეგიის შეთანხმებას მოითხოვს. ამ ახალი კონცეფციით უნდა განიმარტოს, „როგორ და რატომ“ უნდა შეიქმნას ახალი წონასწორობა, ეროვნული თავდაცვის შესაძლებლობებისთვის წაყენებულ მოთხოვნებსა და კრიზისული ინტერვენციისთვის საჭირო მოთხოვნებს შორის, ამასთანავე, უნდა განისაზღვროს რესურსები და პროცედურები, რომლებიც ალიანსს ამ გამოწვევების ეფექტიანი დაძლევისთვის სჭირდება.

ამავდროულად, აუცილებელია ნატოსა და რუსეთის ურთიერთობათა ახალ დონეზე დაყენება. მიმდინარეობს ფუნდამენტური ბრძოლა ძალაუფლებისთვის და სისტემათა დაპირისპირება ევროპაში, უსაფრთხოების მარეგულირებელ წესებთან დაკავშირებით, აგრეთვე ძირითად სახელმწიფოებს – რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს – შორის. უიმედობა თუ გაუბედაობა, რომელმაც ალიანსი მოიცვა, არ უნდა მიიჩქმლოს. საჭიროა მდგომარეობის შემობრუნება და ურთიერთგაგების ახალი გზების ძიება.

ალიანსში ასევე გაბატონებულია გაურკვეველობა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში

მის როლთან დაკავშირებითაც. ალიანსმა ამ ფუნქციაზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება, როგორც ამას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოითხოვს? თუ აშშ-ის ხელმძღვანელობით ნატოს კოალიციის მიერ ისლამური სახელმწიფოს ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ დაკავებული პოზიცია მხოლოდ სიმბოლური ნაბიჯი იყო? სამხედრო სახით ორგანიზებულ ტერორიზმთან (როგორიცაა, მაგალითად, ეგრეთ წოდებული „ისლამური სახელმწიფოს არმაგედონის სექტა“) ბრძოლა მხოლოდ სამხედრო გზით შეიძლება. მაგრამ შეიარაღებული ძალები ვერ დაიცავენ ჯგუფებს შემთხვევითი დაბომბვისგან ან ინდივიდუალურ პირებს მიზნობრივი თავდასხმებისგან, მათ შორის, ტერორისტებისგან, რომლებიც საომარ ხაზებზე მოქმედებენ. საერთო ფუძემდებლური პრინციპი უნდა იყოს შემდეგი: არ შეიძლება ტერორისტების მეომრებად მიჩნევა. სახელმწიფოებში, რომლებიც სათანადო სამართლებრივ პროცესებს ახორციელებენ, როგორც არიან ნატოს ნევრი სახელმწიფოები, პოლიციამ მათი სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა მოახდინოს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს რესურსები სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. ალიანსი ვერ იქნება ტერორიზმის წინააღმდეგ ფართომასშტაბური ბრძოლის ან პრევენციული ღონისძიებებისთვის შესაფერისი მექანიზმი.

ავღანეთსა და ლიბიაში, ნატოს კრიზისული ინტერვენციის ოპერაციებს გამოფხიზლების ეფექტი აქვს. ეს მისიები სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური კონცეფციებით გათვალისწინებული არ იყო. ამ ქვეყნებში მშვიდობა ვერ დამყარდა. ჯერ კიდევ საჭიროა შეცდომებისა და გადაცდომების გაანალიზება. ამ ტიპის მსხვილი ოპერაციების განხორციელება მოკლე- ან საშუალოვადიან პერსპექტივაში შესაძლებელი არ იქნება, ვიდრე არ დასრულდება ეროვნული სამხედრო ძალების ზრდა, რომელიც ახლა იგეგმება. ამას კი ნლები დასჭირდება.

ეროვნული თავდაცვის ბიუჯეტების შესახებ ნატოში მიმდინარე დებატები ზედმეტად არის ფოკუსირებული ფინანსურ რესურსებზე. გადამწყვეტი საკითხია არა ის, თუ რა თანხებს გამოყოფენ ქვეყნები თავიანთი თავდაცვის

ბიუჯეტებისთვის, არამედ ის, თუ რა სამხედრო შესაძლებლობებს უზრუნველყოფენ ისინი ალიანსისთვის ნატოს თავდაცვის დაგეგმვის პროცესისა და ოპერაციების ფარგლებში.

ნატოში გაგრძელდა დისკუსია ბირთვული შეკავების საკითხებზე და იგი ღია უნდა იყოს. ევროპა ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული არსენალის მეშვეობით „გაფართოებულ შეკავებაზე“ დამოკიდებული და ეს ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს. თუმცა მკაფიოდ უნდა გამოცხადდეს, რომ ევროპაში პოლიტიკური და სამხედრო სტაბილურობა ნატოში ბირთვული შეიარაღების გაძლიერების გარეშეც არის შესაძლებელი. აქ უპრიანი იქნებოდა სტრატეგიული სიმშვიდე.

ციფრული სამხედრო ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე ავტომატიზაციის დინამიკის გათვალისწინებით, არსებობს საფრთხე, რომ მათ გამოყენებაზე პოლიტიკური და სამხედრო კონტროლი დაიკარგება. ნატოს წევრებმა უნდა იმოქმედონ, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესში – როგორც ეროვნულ, ისე ალიანსის დონეზე – ყველა გარემოებაში შენარჩუნდეს კონტროლი, რომელსაც ადამიანი განახორციელებს.

გერმანიამ და მისმა ევროპელმა პარტნიორებმა ასევე უნდა გადანყვიტონ, რა როლი უნდა შეასრულოს ნატომ ევროპის უსაფრთხოებაში უახლოესი წლების განმავლობაში და როგორ გამოიყურება ამ ფონზე ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კავშირი (ESDU), რომლის შექმნაც იგეგმება. ეს, ამავდროულად, წარმოშობს შემდეგ კითხვას: ევროპელებმა უნდა მიიღონ ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალისტური პოლიტიკა („ამერიკა, უპირველეს ყოვლისა“) თუ მისი, როგორც შუალედური ფაზის, იგნორირება მოახდინონ; შეეცდებიან თუ არა ევროპელები „სტრატეგიული ავტონომიის“ ძიებას და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას?

აქ განსაზღვრული გამოწვევები, რომელთა წინაშეც დღეს ნატო და მისი წევრი სახელმწიფოები დგანან, მათი ყოვლისმომცველობისა და მრავალფეროვნების გამო, როგორც ჩანს, წარმოშობს

გართულებებს, რომლებიც თავისი ხასიათით გასცდება ყველა სხვა კრიზისს, რომელთა მართვაც ალიანსმა წარსულში მოახერხა. ნევრ სახელმწიფოთა უსაფრთხოების წინაშე მდგარი გარე რისკები მხოლოდ რაოდენობით და ტიპით არ განსხვავდება იმ რისკებისგან, რომლებიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის „მარტივი“ კონფრონტაციის დროს არსებობდა. მაშინ „კარგი ბიჭები“ „დასავლეთში“ იყვნენ, „ცუდი ბიჭები“ – „აღმოსავლეთში“. ტერორისტული თავდასხმები, უპირველეს ყოვლისა, ისლამისტური ჯგუფების მხრიდან, რომლებიც ჩვენსავე საზოგადოებებში წარმოიშობა, მხოლოდ ერთი ასპექტია იმ განვითარებისა, რომელიც სიღრმისეულად ცვლის ჩვენს ქვეყნებს. ახლა „ცუდი ბიჭები“ „სამხრეთიდან“ მოდიან, ან უკვე დიდი ხანია ჩამოვიდნენ აქ, „დასავლეთში“, და ჩვენ შორის არიან. გეოგრაფიული ნიშნები მნიშვნელობას კარგავს.

ნატოში არსებული სუსტი ერთობა და თვით უიმედობაც, რაშიც მას ბრალს სდებენ, როდესაც საქმე უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას ეხება, ასევე მიუთითებს, რომ ალიანსის შიგნით არ არსებობს არანაირი შეთანხმება იმაზე, თუ როდის და რა პირობებშია გონივრული, სამხედრო ძალების გამოყენება. ზოგიერთი ქვეყანა მზად არის და სურს სამხედრო ძალების კრიზისების მართვისთვის გამოყენება, იმის მიუხედავად, თუ რას შეიძლება ეს ნიშნავდეს კონკრეტულ შემთხვევებში. ზოგიერთ ქვეყანას არ სურს ასე შორს წასვლა, ან სურს, მაგრამ მხოლოდ მნიშვნელოვანი შეზღუდვებით. „დასავლეთი“ აღარ დგას ისეთი მოწინააღმდეგის წინაშე, რომელიც მის უსაფრთხოებას, მთლიანობაში, მობილიზებული ძალებით ემუქრება. ალიანსი უკვე დიდი ხანია იქცა ხელსაწყოების ყუთად, საიდანაც ქვეყნები იმას იღებენ, რაც თავისთვის გამოსადეგად მიაჩნიათ. ამან გამოიწვია ალიანსის წევრების ერთმანეთისგან გაუცხოება.

ეს გაუცხოება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, მრავალ მასპინძელ ნევრ სახელმწიფოში კი ნაციონალისტურ-პოპულისტური პარტიები, არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ და პოლიტიკაზე ზეგავლენას ახდენენ.

პოლონეთისა და უნგრეთის მთავრობებმა უკვე კარგად განავითარეს მმართველობის ავტორიტარული სიტემები. თურქეთის პოლიტიკური სისტემა ერთპიროვნულ მმართველობაზე დავიდა. თვით ნამყვანი სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები, ნაციონალისტურ ლოზუნგს აყენებს – „ამერიკა, უპირველეს ყოვლისა“, რითაც ძირს უთხრის ალიანსში მის ნამყვან როლს, რომელიც ადრე უდავო იყო. ამ დროს ევროპელები შორს არიან ლიდერის როლის შესრულებისგან, თუნდაც ევროკავშირის თავდაცვის სამომავლო კავშირში. თუ არაფერი შეიცვალა, ნატო დაემშვიდობება თავის სტატუს როგორც „დასავლური“ ალიანსი და დასავლურ ღირებულებათა თანამეგობრობა, რადგან ეს „დასავლეთი“ უკვე აღარ იარსებებს.

ეს ყველაფერი განხილვისთვის არის შემოთავაზებული.

ავტორთა შესახებ

ჰელმუტ ვ. განსერი არის ბრიგადის გენერალი (თადარიგის). იგი მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიტიკის დეპარტამენტში, ბერლინში, გაეროში ნატოს წარმომადგენლობაში (ნიუ-იორკში) და ნატოში (ბრიუსელში)

პროფესორი, დოქტორი ვულფ ლაპინსი არის ფრიდრიხ ებერტის ფონდის ალბანეთის წარმომადგენლობის დირექტორი ტირანაში

დოქტორი დეტლეფ ფული არის ნატოს (ბრიუსელი) თადარიგის უფროსი მრჩეველი. იგი აგრეთვე მუშაობდა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროში, ევროპის უსაფრთხოების კვლევების „ჯორჯ მარშალის“ ცენტრში (გარმიშ-პარტენკირხენი) და იყო თავდაცვის სამინისტროს (ბერლინი/ბონი) პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორი და პრესსპიკერი.

იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი
ნინო რამიშვილის ქ. 4 / 0179, თბილისი | საქართველო
პასუხისმგებელი პირი:
ფელიქს ჰეტი | სამხრეთ კავკასიის
რეგიონული ოფისის დირექტორი
ტელ: +995 32 225 07 28
<http://fes-caucasus.org/>

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:
stiftung@fesgeo.ge

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

Friedrich-Ebert-Stiftung | Tbilisi Office
N. Ramishvili str. 4 | 0179, Tbilisi | Georgia
Responsible:
Felix Hett | Director, FES Regional Office South Caucasus
Tel.: +995 32 225 07 28
<http://fes-caucasus.org/>

To order publications:
stiftung@fesgeo.ge

Commercial use of all media published by the Friedrich-Ebert-Stiftung (FES) is not permitted without the written consent of the FES.

ინფორმაცია ორიგინალური პუბლიკაციის შესახებ

ISBN 978-3-96250-055-9

Friedrich-Ebert-Stiftung | International Policy Analysis
Hiroshimastr. 28 | 10785 Berlin | Germany
Responsible:
Dr. Michael Bröning, Head, International Policy Analysis
Tel: +49-30-269-35-7706 | Fax: +49-30-269-35-9248
www.fes.de/ipa

Orders / Contact:
info.ipa@fes.de

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას.